



პეიტი დუჰიძისი

„და ანგელოზსა ფილადელფიისა ეკლესიასა მითუწერე: ამას იტყუეს წმიდამ და ჭეშმარიტი, რომელსა აქუს კლიტე დავითისი, რომელი-იგი განაღებს, და არავინ დაჰკვას, გარნა განმღებულმან მან, და არავინ განაღოს დაკმული იგი.“
(გამოცხ. 3.7)

თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის ყოველთვიური გაზეთი

მაისი-ივნისი, 2022 წელი

ნომერშია:

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესი და უნეტარესი ილია II-ის 2022 წლის სააღდგომო ეპისტოლეს შესაცნობად

მნიშვნელოვანი მოვლენა

17 მაისს აღინიშნა ოჯახის სიწმინდის დღე

მოდმე აზერბაიჯანის დელეგაცია თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის

თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის გარდაცვლილ პედაგოგთა და სტუდენტთა მოსახსენებელი საზოგადო პანაშვიდი

პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციები

„სტუდენტური დღეები - 2022“

ორი გამორჩეული დღე არქიტექტურის, მონუმენტური ხატწერისა და რესტავრაციის ფაკულტეტზე

ხმა ერიდან

ზეციური სტუმარი დედამიწაზე

„ბედნიერი ვარ, რომ ვცხოვრობ იმ დროში, რომელსაც ჰქვია საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ეპოქა“

ექსკურსია ფშავში

დაბრუნება მშობლიურ ფესვებთან

მაისისა და ივნისის ნომერი მოამზადეს გივი შეყილაძემ, ასმათ ჯიქიამ, სალომე გოგინაშვილმა, თამთა გრიგალაშვილმა, გიორგი მაისურაძემ.



ცნობად ქვეყანასა ზედა გზაი შენი ცრუისა და მზაკვრისაგან დამხსნელი

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესი და უნეტარესი ილია II-ის 2022 წლის
სააღდგომო ეპისტოლეს შესაცნობად

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის სააღდგომო ეპისტოლე, როგორც ყოველთვის, ღრმა თეოლოგიური ასპექტების წარმოჩინებითა და არსებული, ყოფითი რეალობის ანალიზით გამოირჩევა. უწმიდესი ეპისტოლეს პირველ ნაწილში ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის უდიადეს მნიშვნელობაზე საუბრობს: „აღსრულდა სამოთხეში ადამისა და ევასთვის მიცემული პირობა უფლისა! სიკვდილი იძლია! ქრისტე აღსდგა! საკვრელი ბნელეთისა დარღვეულია და მართალთა სულნი - გამოხსნილნი! ზეიმობს წიაღი აბრაამისა; ძეს თვისას, ყოველთა მეუფეს, შეჰხარის წინასწარმეტყველი დავითი, იშვებს ქალწული და ყოველნი ზეციური ძალნი! შემოდის დღე ძლევამოსილი

და დიადი, დღე სიკვდილის დამთრგუნველი და ათასწლეულების წყევლის განმაქარვებელი“.

პატრიარქის მიერ მოხმობილი სიტყვები გამოხატავს საეკლესიო სწავლებას იმასთან დაკავშირებით, რომ ქრისტეს აღდგომის საყოველთაო მადლმა გამოიხსნა სრულიად კაცობრიობა. ის, რომ ცოდვით დაცემული ადამიანი დაიხსნებოდა, ჯერ კიდევ სამოთხეში გაცხადდა. კერძოდ, ღმერთი, რომელიც ჩადენილი ქმედების გამო გველს წყევლის, ამბობს: „და მტერობაჲ დავდვა შორის შენსა და შორის დედაკაცისა. და შორის თესლისა შენისა და შორის თესლისა მისისა იგი შენსა უმზირდეს თავსა და შენ უმზირდე მისსა ბრჭალსა“ (დაბ.3:15).

წმიდა მამათა განმარტების მიხედვით, ღვთის მიერ წარმოთქმული სიტყვები არის კაცობრიობის გამოხსნის შესახებ პირობა, რომლის აღსრულებაც, როგორც პატრიარქი ბრძანებს, ქრისტეს აღდგომისას მოხდა.

საეკლესიო მოძღვრების თანახმად, იესო ქრისტეს აღდგომა მკვდართა საყოველთაო აღდგომის წინამოსწავებაა. როგორც ცნობილია, მაცხოვარი უხრწნელი სხეულით აღდგა, ანუ იმგვარი სხეულით, რაც ადამსა და ევას ჰქონდათ სამოთხეში. სწორედ ამგვარი სხეულით აღდგებიან ადამიანები მკვდართა საყოველთაო აღდგომისას. ეპისტოლეს მომდევნო ნაწილში აღნიშნული გარემოებაა გადმოცემული: „მკვდრეთით აღმდგარი და გამარჯვებული იესო გვიხმობს და ყველას უშურველად გვანიჭებს უდიდეს საბოძვარს, - საუფლო დიდებასთან თანაზიარებას, გვანიჭებს მარადიულ სიცოცხლეს და მასთან მყოფობას. ქრისტე მკვდრეთით აღსდგა იმგვარი უხრწნელი სხეულით, ადამს რომ ჰქონდა სამოთხეში და ჩვენც, მეორედ მოსვლის შემდეგ, ამ სულიერი სხეულით შემოსვის შესაძლებლობა მოგვცა. ეს არის უმნიშვნელოვანესი მოვლენა, რადგან ხრწნილება, რაც პირველმშობელთა შეცოდების შედეგად ჩვენი დაცემული ბუნების თვისება გახდა, ვერ დაიმკვიდრებდა უკვდავებას.

ქრისტესთან ნათლობით დაკავშირებულნი და მისი მცნებისამებრ მცხოვრებნი ყოველნი, ნეტარ უკვდავებასთან თანაზიარნი ხდებიან მასთან ერთობით, რომელიც თავად არის სიცოცხლე და სიცოცხლის მომნიჭებელი. ამიტომაც წერს მოციქული: „როგორც ადამში კვდება ყველა, ასევე სიცოცხლეს იძენენ ქრისტეში“ (1 კორინ. 15,22);

„ღმერთმა მოგვცა საუკუნო სიცოცხლე და ეს სიცოცხლე მის ძეშია“ (1 ინ. 5,11)“.

ეპისტოლეს მომდევნო ნაწილი ეხება საეკლესიო მოძღვრებას, რომლის თანახმადაც ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის შედეგად გამოხსნილია ადამიანის ბუნება, თუმცა პიროვნების გამოხსნა თითოეულმა ადამიანმა თავად უნდა აღასრულოს, რაც მოღვაწეობასთან არის დაკავშირებული: „მართალია, ქრისტეს აღდგომით ბოროტება შეიმუხრა, მაგრამ განწმენდისა და ცოდვის ბიწისაგან გათავისუფლების პროცესი სულიერი ღვაწლითა და მრავალი განსაცდელის ღირსეულად დათმენით ყველამ პიროვნულადაც უნდა აღვასრულოთ, - უნდა ძალისამებრ ჩვენისა განვაახლოთ შემოქმედის ხატება და მსგავსება ჩვენში (ანუ შინაგანად შევძლოთ აღდგენა იმისა, როგორადაც შეგვქმნა უფალმა), რაც, პირველ რიგში, გულისხმობს ბრძოლას ჩვენს ეგოისტურ აზროვნებასთან და ვნებებთან. ეს არის გარდაუვალი ომი საკუთარ თავთან, რაც აუცილებლად მოუწევს ყველას, ვინც თავს ქრისტიანად მიიჩნევს“.

საქართველოს ეკლესიის მეთაური ყურადღებას ამახვილებს ყოფით პრობლემებზე - მსოფლიო განსაცდელებზე, კერძოდ, რუსეთ-უკრაინის ომზე, რომელმაც უამრავი ადამიანი შეიწირა და დააზარალა. ეკლესიის საჭეთმპყრობელი ომში დაზარალებულთა დახმარებისკენ მოგვიწოდებს და ქრისტიანული სწავლების კვალდაკვალ, განსაცდელისგან ერთადერთ ხსნას ღმერთში ხედავს: „დიდი უბედურების მომტანია ქვეყნებს შორის ომი, რადგან იგი ათასობით ადამიანის სიცოცხლეს იწირავს,

ფეხქვეშ თელავს ყოველგვარ კანონს, ზნეობას, ღირებულებას, მოაქვს ნგრევა და მატერიალურ-კულტურული ზიანი, თესავს სისასტიკესა და საყოველთაო სიძულვილს, რაც, რა თქმა უნდა, სულიერადაც მეტად მძიმე ვითარებას ქმნის. ასეთ გარემოში მნიშვნელოვანია და აუცილებელი თანალმობისა და სიკეთის გამოჩენა ომის მსხვერპლთა მიმართ (დაჭრილების, ტყვეების, მშვიერ-მწყურვალთა, ბავშვების, ქალების, მოხუცების, სნეულთა და სხვათაგან), რათა დაიძლიოს ბოროტება. უდიდეს გულისტკივილს იწვევს დღეს მსოფლიოში მიმდინარე ომები, განსაკუთრებით, ჩვენს მეზობლად, რომელსაც რუსეთი აწარმოებს უკრაინაში, სადაც ადგილი აქვს შემზარავ ფაქტებსა და უმძიმეს სისასტიკეს. ამიტომაც, ყველას გვმართებს განსაკუთრებული ლოცვა და ძალისხმევა მშვიდობისათვის.

ამჟამად არსებული მდგომარეობა კი ისეთია, როდესაც აღარავინ იცის, ხვალინდელი დღე რას მოიტანს და მოვლენები როგორ განვითარდება; პროცესები შეიძლება მალე დასრულდეს, ან ხანგრძლივ დაპირისპირებაში გადაიზარდოს, ან, შეიძლება, ყველანი გლობალური კატასტროფის წინაშე აღმოვჩნდეთ, რაც, ბუნებრივია, საყოველთაო შიშს ბადებს. მაგრამ არ უნდა დაგვაფიქვდეს, რომ ურთულესი ვითარებიდან უფალს მრავალჯერ დაუხსნია კაცობრიობა; მთავარია, უმძიმეს მდგომარეობაშიც არ დავკარგოთ ადამიანური ღირსებები, არ დავკარგოთ რწმენა და სასოება შემოქმედისა“.

საქართველოს ეკლესიის მამამთავარი, ეპისტოლეს შემდეგ ნაწილში ყურადღებას ამახვილებს უაღრესად მნიშვნელოვან საკითხზე - სიკვდილის შიშზე, რომელიც ყოველ ადამიანს აქვს, თუმცა, პატრიარქი, წმიდა წერილის სწავლების კვალდაკვალ წარმოაჩენს ქრისტიანული ეკლესიის სწავლებას ქრისტეს მიერ სიკვდილის დამარცხების შესახებ: „ზოგადად, შიში, როგორც გადარჩენის ინსტიქტი, კაცობრიობის მუდმივი თანამგზავრია. ყველაზე ძლიერი კი სიკვდილის შიშია, რაც ჩვენი ბუნებრივი მდგომარეობაა, რადგან სულისა და ხორცის გაყრასთან არის დაკავშირებული და მათი ერთობის დამრღვევია. თუმცა ქრისტეს მორწმუნეთ იციან, რომ სხეულის დაფვლა მიწაში და სტიქიონებად დაშლა ჩვენი არსებობის შეწყვეტას არ ნიშნავს, არამედ ეს პროცესი აუცილებელია, რათა სხეული განახლებული სახით აღდგეს. ზოგიერთ ადამიანს უჭირს ამის დაჯერება, პავლე მოციქული მოკლედ და ნათლად ამბობს, რომ: „რასაც დავთესავთ, არ გაცოცხლდება, თუ არ მოკვდა“ (1 კორინ.15, 36). ასევე მკვდართა აღდგომაც ... „ითესება მშვიინგიერი სხეული და აღდგება სულიერი სხეული“ (1 კორინ.15, 44), ხოლო ვისაც ეს აეჭვებს, ის დაეჭვებულია ქრისტეს აღდგომაშიც, „რადგან თუ მკვდარნი არ აღდგებიან, ქრისტეც არ აღმდგარა“ (1 კორინ.15,16)! - მართლმორწმუნისათვის ასეთი აზრი კი უდიდესი მკრეხელობაა და სულიერად დამღუპველი. აღდგომილი მაცხოვარი არაერთგზის იხილეს მენელსაცხებლე დედებმა, მოციქულებმა, ხუთასზე მეტმა კაცმა და სხვებმა. იგი ორმოცი დღის მანძილზე არიგებდა და განაბრძნობდა თავის მოწაფეებს, რომელთაც, სულიწმინდის მადლით, მრავალ სასწაულთა აღსრულების უნარი მისცა; შემდეგ კი იესო ქრისტე ყველას თვალწინ ზეცად ამაღლდა და აღგვითქვა: „აჰა, მე თქვენთან ვარ დღენიადაც, ვიდრე აღსასრულამდე ქვეყნისა“ (მთ. 28.20), და კიდევ: „ნეტარ არიან ისინი, ვისაც არ ვუხილავარ და ... მირწმუნეს“ (ინ. 20.29).

კათოლიკოს-პატრიარქი ეპისტოლის დასკვნით ნაწილში ქრისტიანული ეკლესიის ორ დიდ სათნოებაზე, ღვთის შიშსა და ლოცვაზე ამახვილებს ყურადღებას და წარმოაჩენს საეკლესიო მოძღვრებას, რომლის თანახმადაც ღვთის შიში ადამიანს ღმერთთან უფრო მიაახლებს და ცოდვას განარიდებს, ხოლო გამუდმებული ლოცვა კაცზე ღვთის მადლის გარდამოსვლის წინაპირობაა: „ ქრისტეს სასუფეველი მიუწვდომელი რჩება მათთვის, ვისაც არა აქვს შიში და სიყვარული ღვთისა და, ასევე, სიყვარული მოყვასისა, რაც შედეგია ჩვენი რწმენისა და მოღვაწეობითი ძალისხმევისა.

„უფლის შიში სიცოცხლის წყაროა, სიკვდილის ხაფანგისგან გამომხსნელი" (იგ. 14,27). იგი სულიერი სიბრძნის დასაწყისია, რადგან ამ მაღლის მქონეთ ეძლევათ სიკეთისა და ბოროტების გარჩევის უნარი, უნარი გონივრული ნაბიჯების გადადგმისა და მშვიდობისმოყვარეობისა, მოყვასის სიყვარულისა და მისთვის თავდადებისა.

ღვთის შიში სხვა შიშებისაგანაც ათავისუფლებს ადამიანს და ცხოვრებისეული სირთულეების დამძლევის უადვილებს, რადგან იგი განსაცდელსა და მწუხარებას მისთვის საჭირო მწარე, თუმცა მაკურნებელ, წამლად მიიჩნევს და ეშინია მხოლოდ იმისა, რომ არ შეექმნას სულიერი სიკვდილის საფრთხე (შდრ. მთ. 10,18).

ღვთის შიში უფალთან სიახლოვით მტკიცდება, უფრო აღმატებულ სულიერ მდგომარეობაში კი მას სრული სიყვარული ცვლის, როგორც ამბობს წმინდა იოანე ღვთისმეტყველი: „სიყვარულისთვის უცხოა შიში, რადგანაც სრულქმნილი სიყვარული განდევნის შიშს, ... ხოლო ვისაც შიში აქვს, არასრულქმნილია სიყვარულში" (1 ინ. 4.18).

სრულქმნილი სიყვარულის მიღწევისათვის ლოცვას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ყველა საეკლესიო მსახურება გულისხმობს უფლისადმი ვედრებას: „შეგვეწიენ, გვაცხოვნენ, შეგვიწყალენ და დაგვიცვენ ჩვენ, ღმერთო, მაღლითა შენითა“

მოციქული გვარიგებს, - ილოცეთ მუდამ (1 თეს. 5,17), რაც ადვილი არ არის, მაგრამ არსებობს მარტივი ლოცვა, რომელიც დიდად შეეწევა ადამიანს, თუკი რწმენით აღასრულებს მას. ეს არის „უფალო, შეგვიწყალენ“. თქვენი ყოველდღიური ლოცვების გარდა, იმეორეთ იგი გულში ყველგან და ყოველთვის, სადაც არ უნდა იმყოფებოდეთ. ეს ორი სიტყვა ღრმა აზრის შემცველია; მისი საშუალებით ჩვენ ვაღიარებთ, რომ ღმერთს ვართ მიხედობილნი და მას შევთხოვთ მფარველობას, რომ ცოდვილნი ვართ, მაგრამ იმედი გვაქვს მისი მოწყალებისა, ვაღიარებთ იმასაც, რომ მის გარეშე ვერც სულიერ სიბრძნეს შევიძენთ და ვერც ბოროტს დავამარცხებთ.

ასე რომ, გამუდმებით ილოცეთ - „უფალო, შეგვიწყალენ“ და მარად გახსოვდეთ, რომ „თქვენი სხეული ტაძარია თქვენში დამკვიდრებული სულიწმინდისა, რომელიც გაქვთ ღვთისაგან...

ადიდეთ ღმერთი თქვენი სხეულით და თქვენი სულით, რომელნიც არიან ღვთისა“ (1 კორინ. 6, 19-20); იღვაწეთ, რომ, წუთისოფელში თქვენი დროებითი მყოფობა ზესთასოფელში დაუსრულებელი მყოფობის წინაპირობად იქცეს, იცხოვრეთ მარადიული სიცოცხლისათვის, იცხოვრეთ ქრისტესთვის!"

ეპისტოლის დასასრულს პატრიარქი ლოცავს და კიდევ ერთხელ ულოცავს თავის საწმესოს ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომას: „ქრისტე აღსდგა! მკვდრებით აღდგომილმა მაცხოვარმა დაგლოცოთ და განგამტკიცოთ რწმენასა და სიყვარულში. იხარეთ ორსავე სოფელსა შინა!

სიყვარულით თქვენთვის მლოცველი, ილია II“.

ჩვენც, ჩვენი მხრიდან უდიდესი სიყვარულითა და პატივისცემით ვულოცავთ უწმიდესსა და უნეტარეს ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომას. ჯანმრთელობასა და მრავალჟამიერ სიცოცხლეს ვუსურვებთ.

მღვდელი გიორგი ვაშალომიძე,
თბილისის სასულიერო სემინარიის დეკანი

მნიშვნელოვანი მოვლენა

წელს, ნათლისღების დღესასწაულზე იორდანის მეფე აბდულა მეორისა და ტახტის მემკვიდრე პრინც ღაზის ერთობლივი გადაწყვეტილებით, წმინდა მდინარე იორდანეს მიმდებარედ, იქ, სადაც უფალმა ნათელილო იოანე ნათლისმცემელისაგან, საქართველოს 4 ათასი კვადრატული მეტრი მიწა გადმოეცა.

გაზეთ „კლიტე დავითისის“ წინა ნომერში ამის თაობაზე, საუკუნეების განმავლობაში ისტორიულად ქართველ სასულიერო პირთა წმინდა მიწაზე მოღვაწეობის შესახებ აკადემიკოს ჯაბა სამუშიას ვრცელი წერილი დაიბეჭდა.

ივნისის დასაწყისში იორდანიაში საზეიმოდ გაიხსნა მემორიალი, რომლის ცერემონიალსაც დაესწრნენ საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი და პრინცი ღაზი ბინ მუჰამედი.

პინ არიან პაშიმიტაბი, რომლებმაც ქართველები წმინდა მიწაზე დაბეჭდეს!

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილის ვიზიტი იორდანის პაშიმიტების სამეფოში უმნიშვნელოვანესი აღმოჩნდა საქართველოს უახლეს ისტორიაში — ქართველები 300 წლის შემდეგ დავბრუნდით წმინდა მიწაზე.

პრემიერმა პაშიმიტური სამეფოს პრინც ღაზი ბინ მუჰამედთან ერთად მდინარე იორდანესთან, მაცხოვრის ნათლობის ადგილას, საქართველოსთვის გადმოცემულ 4000 კვ.მ. ფართობზე საზეიმოდ გახსნა მემორიალური ქვა, რომელზეც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მამრინსა და პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს ხელმოწერა.

„დღეს ისტორიული დღეა, დღეს ჩვენ ოფიციალურად გადმოგვიცა მიწა, რომელზეც აშენდება ქართული კულტურის ცენტრი. ეს არის უველა ქართველისთვის საოცნებო დღე, ვინაიდან ქართველები 300 წლის შემდეგ ვბრუნდებით წმინდა მიწაზე. ამ საქმეში ფასდაუდებელი წვლილია იორდანის მეფე აბდულა მეორის, პრინც ღაზის, აგრეთვე, იერუსალი-



მის პატრიარქის, ჩვენი პატრიარქის, ჩვენი მთავრობის, ვულოცავ უველა ქართველებს, უველა მართლმადიდებელ ქრისტიანს!“ — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა საზეიმო ცერემონიაზე.

ვინ არიან პაშიმიტები, რომლებმაც ასეთი ძვირფასი საზოგადოებრივი ქართველებისთვის და 300 წლის შემდეგ წმინდა მიწაზე დავებრუნეს? პაშიმიტები — ეს არის სამეფო დინასტია არაბული აღმოსავლეთის ქვეყნებში. სახელწოდება მოდის ლეგენდარული პაშიმიტ ბინ აბდ მანაფასგან, კურთხის ტომის მამამთავრისგან. სწორედ ამ ტომს ეკუთვნოდა წინასწარმეტყველი მუჰამედი, რომლის დიდი ბაბუაც იყო პაშიმიტი. პაშიმიტების დინასტია მართავდა შიზაზს (ტერიტორია არაბეთის ნახევარკუნძულზე, ისლამის აღმოსავლეთის ადგილი, სადაც არის მექა და მედინა), მექას, ერაყს, სირიას, ამჟამად მართავს იორდანია. მონარქიული წყობა იორდანიაში 1921 წლიდან მოქმედებს. პირველი მეფე იყო აბდულა I, მეორე — თალალ I, მესამე — ნაიფი, მეოთხე — ჰუსეინი. იორდანის ამჟამინდელი მეფე აბდულა მამრინ ტახტზე 1999 წელს ავიდა.

მოამზადა ნიკა კორინთელმა

გაზეთიდან „გენერალისიმუსი“, 2022 წლის 6 ივნისი.

17 მაისს აღინიშნა ოჯახის სიწმინდის დღე



საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კურთხევით, ოჯახის სიწმინდის დღედ სახელდებულ 17 მაისს, თბილისში, რუსთაველის გამზირზე ათასობით ადამიანმა მოიყარა თავი, რომლებმაც უფალს შეავედრეს თავიანთი, სხვათა და სხვათა ოჯახები - ერის მომავლის იმედი. ქაშუეთის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიაში აღევლინა პარაკლისი. მრევლს ქადაგებით მიმართა საპატრიარქო ტაძრის მოსაყდრემ, მეუფე შიომ. შემდეგ მორწმუნე საზოგადოება სასულიერო პირებთან ერთად სიონის ღმრთისმშობლის მიძინების ტაძრისკენ გაემართა, წინ „აწყურის ღმრთისმშობლის“ ხატი მიუძღოდათ.

მსვლელობის მონაწილეები საპატრიარქოს რეზიდენციის აივანზე გამობრძანებულმა უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დალოცა.

სიონის ტაძარსა და მის შემოგარენში შეკრებილთ, სულის გასამხნეველად, კიდევ ერთი ბედნიერება ელოდათ - „აწყურის ღმრთისმშობელი“ წმიდა გიორგის მუხლი, „მადლის ქვა“!

ასმათ ჯიქია



მომხმე აზერბაიჯანის დელეგაცია თბილისის სასულიერო აკადემიასა და სემინარიას



7 ივნისს თბილისის სასულიერო აკადემიასა და სემინარიას სტუმრობდა აზერბაიჯანის რესპუბლიკის დელეგაცია აზერბაიჯანის რესპუბლიკის რელიგიების ასოციაციის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის, ბატონ აზიზ ნაგიევის ხელმძღვანელობით.

დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ბატონი აგილ შირინოვი - აზერბაიჯანის თეოლოგიის ინსტიტუტის რექტორი, ქალბატონი ელნარა კარიმოვი - აზერბაიჯანის რესპუბლიკის რელიგიების ასოციაციის სახელმწიფო კომიტეტის ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსი, ბატონი ჯაჰანდარ ალიფ ზადე - აზერბაიჯანის რესპუბლიკის რელიგიების ასოციაციის სახელმწიფო კომიტეტის რელიგიურ ორგანიზაციებთან მუშაობის დეპარტამენტის უფროსი, ბატონი ფაზრი ჰაჯიევი - აზერბაიჯანის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს დეპარტამენტის უფროსი, ბატონი ნარიმან ორუჯ ალიევი - აზერბაიჯანის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს დეპარტამენტის უფროსი, ბატონი ვუსალ მამედოვი - აზერბაიჯანის რესპუბლიკის დიასპორასთან მუშაობის სახელმწიფო კომიტეტის დეპარტამენტის უფროსი, მიიღო თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის რექტორმა, პროტოპრესვიტერმა გიორგი ზვიადაძემ.

შეხვედრას ესწრებოდა აზერბაიჯანის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში, ბატონი ფაიგ გულიევი.

შეხვედრას აგრეთვე ესწრებოდნენ თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის პრორექტორი სასწავლო და ადმინისტრაციულ საკითხებში, დეკანოზი ბესარიონ ცინცაძე, დოქტორანტურის სწავლული მდივანი, დეკანოზი

ბიძინა გუნია, რექტორის თანაშემწე ინსტიტუციური განვითარებისა და ხარისხის მართვის უზრუნველყოფის საკითხებში, ქალბატონი თამარ სანიკიძე, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და სტრატეგიული კომუნიკაციების სამსახურის უფროსი, ქალბატონი მარიამ თოფურია.

რექტორმა, პროტოპრესვიტერმა გიორგი ზვიადაძემ გულწრფელი მადლობა გადაუხადა სტუმრებს ვიზიტისთვის. მან ყურადღება გაამახვილა ქართულ-აზერბაიჯანული ურთიერთობის ისტორიასა და ამ ურთიერთობის გაღრმავების მნიშვნელობაზე. ისაუბრა ორი სახელმწიფოს ხელმძღვანელების, სულიერი ლიდერებისა და ხალხთა ურთიერთობის ტრადიციაზე, აზერბაიჯანისა და საქართველოს ყოფილი პრეზიდენტების - ჰეიდარ ალიევისა და ედუარდ შევარდნაძის მეგობრობაზე, შემწყნარებლობის მნიშვნელობაზე თანამედროვე სამყაროში და სულიერი ლიდერების - შეიხალა-შუქურ ფაშა ზადესა და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის, აგრეთვე, აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობის წამყვან როლზე ამ მნიშვნელოვან პროცესში, განსაკუთრებით კავკასიაში, მათ მეგობრულ, თბილ დამოკიდებულებაზე სხვა რელიგიების, სხვა ერების წარმომადგენელთა მიმართ.

რექტორმა სტუმრებს გააცნო სასწავლებლის მოკლე ისტორია, ისაუბრა მის წარსულსა და მომავალზე, სასულიერო განათლების ტრადიციებზე საქართველოში და აღნიშნა, რომ აზერბაიჯანის თეოლოგიურ ინსტიტუტთან მემორანდუმის გაფორმება მნიშვნელოვანია და სასიკეთო შედეგებს მოიტანს სასწავლო-სამეცნიერო კუთხით.

შეხვედრამ თბილ ატმოსფეროში ჩაიარა. დელეგაციის ხელმძღვანელმა, ბატონმა აჰიზ ნაგიევმა მადლობა გადაუხადა მამა გიორგი ზვიადაძეს თბილი მიღებისთვის და ისაუბრა აზერბაიჯანელი და ქართველი ხალხის ურთიერთობაზე სხვადასხვა სფეროში, აზერბაიჯანის მთავრობის, აზერბაიჯანელი ხალხის რელიგიურ შემწყნარებლობაზე. მან იმედი გამოთქვა, რომ ეს ურთიერთობა მომავალში უფრო განვითარდება და გაღრმავდება. ბატონმა აგილ შირინოვმა - აზერბაიჯანის თეოლოგიის ინსტიტუტის რექტორმა - აღნიშნა, რომ თბილისის სასულიერო აკადემიასა და სემინარიასთან მემორანდუმის გაფორმება სასარგებლო იქნება ორივე მხარისთვის.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში - ბატონმა ფაიგ გულიევმა - მადლობა გადაუხადა პროტოპრესვიტერ გიორგი ზვიადაძეს თბილი მიღებისთვის და ისაუბრა მსგავსი შეხვედრების აუცილებლობასა და მნიშვნელობაზე.

შეხვედრის ბოლოს სტუმრებმა და მასპინძლებმა სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს ერთმანეთს.

ლალი ხუჭუა,

**საზოგადოებასთან ურთიერთობისა და სტრატეგიული კომუნიკაციების
სამსახურის საერთაშორისო ურთიერთობათა სამმართველოს უფროსი**



თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის გარდაცვლილ პედაგოგთა და სტუდენტთა მოსახსენებელი საზოგადო პანაშვიდი

11 მაისს სიონის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების საკათედრო ტაძარში შესრულდა თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის გარდაცვლილ პედაგოგთა და სტუდენტთა მოსახსენებელი საზოგადო პანაშვიდი, რომელიც აღავლინა თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის რექტორმა, პროტოპრესვიტერმა გიორგი ზვიადაძემ სასულიერო აკადემიაში მოღვაწე მოძღვრებსა და სიონის საკათედრო ტაძრის მღვდელმსახურებთან ერთად. პანაშვიდს ესწრებოდნენ სასწავლებლის ადმინისტრაციის წევრები, პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები, გარდაცვლ პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა ოჯახის წევრები.

პანაშვიდის დასასრულს რექტორმა, პროტოპრესვიტერმა გიორგი ზვიადაძემ აღნიშნა, რომ თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია პატივს მიაგებს იმ პროფესორ-მასწავლებელთა ხსოვნას, რომლებიც წლების განმავლობაში მოღვაწეობდნენ და უდიდესი ღვაწლი დასდეს მის წინსვლასა და განვითარებას. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესი და უნეტარესი ილია მეორის ლოცვა-კურთხევით ზოგიერთი მათგანი სასწავლებლის გახსნის დღიდან მოღვაწეობდა ჩვენთან.

პროტოპრესვიტერმა გიორგი ზვიადაძემ გარდაცვლილ პროფესორ-მასწავლებლებელთან ერთად სახელდებით მოიხსენია ის გარდაცვლილი სტუდენტებიც, რომლებიც სწავლობდნენ თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიაში.

ტრადიციულად, გარდაცვლილ პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა მოსახსენებელი საზოგადო პანაშვიდი ყოველ წელს აღესრულება სიონის საკათედრო ტაძარში, ნიშნად მათ მიმართ ჩვენი გულწრფელი სიყვარულისა და პატივისცემისა.

პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციები



პანდემიის გამო თბილისის სასულიერო აკადემიასა და სემინარიაში, პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა ტრადიციული სამეცნიერო კონფერენციები შეფერხებული იყო. წელს წარმატებით განახლდა ეს მნიშვნელოვანი ფორუმი.

პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტმა - ხათუნა მემანიშვილი-კალანდარიშვილის, ხათუნა ნიშნიანაძის, თამთა ფარულავას, ლეილა გეგუჩაძის და სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტმა სერგო ვარდოსანიძისა და დურმიშხან ლაშხის



ძალისხმევით უზრუნველჰყო კონფერენციის მაღალ დონეზე წარმართვა.

პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო კონფერენცია გაიხსნა 4 მაისს პლენარული სხდომით და მიმდინარეობდა 5 მაისს სექციებში.

პლენარულ სხდომაზე მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის რექტორმა, ფილოლოგიის, თეოლოგიისა და პოლიტიკის დოქტორმა, პროტოპრესვიტერმა **გიორგი ზვიადაძემ**.

სხდომას თავმჯდომარეობდა ფილოლოგიის დოქტორი ხათუნა მემანიშვილი-კალანდარიშვილი.

მოხსენებებით გამოვიდნენ:

ფილოლოგიისა და თეოლოგიის დოქტორი, დეკანოზი ბიძინა გუნია – “გენდერის თეორია გუშინ და დღეს.”

ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა დოქტორი ელენე მაჭავარიანი – “XI-XIII საუკუნეების ე.წ. ბიზანტიური მიმართულების ქართული მოხატული ხელნაწერები.”

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი მაია რაფავა – “უცნობი ბერძნული ეპიგრაფა იოანე ათონელის შესახებ.”

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ლელა ხაჩიძე – მიქაელ მოღრეკილის „კალენდარი“.

ისტორიის მეცნიერებათა და თეოლოგიის დოქტორი სერგო ვარდოსანიძე – “ჩამაბარეთ უნივერსიტეტის ბასაღები”. (არშაკ ბაბოვი ქართული უნივერსიტეტის წინააღმდეგ.)



25 მაისს თეოლოგიის სექციის სხდომას თავმჯდომარეობდა - თეოლოგიისა და ისტორიის დოქტორი, დეკანოზი ბიორბი გუგუშვილი.

მოხსენებებით წარდგნენ:

ფილოლოგიის დოქტორი **ქეთევან გამასახლისი** - “ერთი ხელნაწერის ანალიზი - წმინდა ათანასეს წერილი ამონა მონაზვნისადმი.”

თეოლოგიისა და ისტორიის დოქტორი, დეკანოზი **ბიორბი გუგუშვილი** – “ტერმინ „შაბათის“ გაანალიზებისათვის ლუკას სახარების 6.1. მუხლის („და იყო შაბათსა მეორეპირველსა...“) გათვალისწინებით.”

დოქტორანტი **ბიორბი გვასალია** – “მოსე წინასწარმეტყველის მესიანური წინასწარმეტყველება იუდაურ და ქრისტიანულ ტრადიციაში.”

დოქტორანტი **რევაზ მუჯირიშვილი** – “სვიმონ მიმრჩეველი და სამოცდაათთა თარგმანი.”

ეკლესიის ისტორიის სექციის სხდომას თავმჯდომარეობდა - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი გვანცა კოკლატაძე.



მოხსენებებით გამოვიდნენ:

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი **გვანცა კოკლატაძე** – “პატრიარქი ფოტიოსი ყოვლადწმინდა სამების დოგმის დაცვისათვის ბრძოლაში.”

თეოლოგიის დოქტორი, დეკანოზი **ალექსი ქუჭუთაშვილი** – “მე -18 საუკუნის საქართველოს ეკლესიის კანონიკური კეზლები და მათში ასახული რწმინდებისა და საქართველოს ეკლესიების ისტორიული რეალობები.”

დოქტორანტი, დეკანოზი **ვლადიმერ ვახტანგაძე** -“ლიტურგიკული ტრადიციები ეკლესიის უძველეს პერიოდში.”

დოქტორანტი **ბრიგოლ ბენდელიანი** – “რომისა და კონსტანტინოპოლის ეკლესიების ურთიერთობები დიდ სქიზმამდე.”

დოქტორანტი **ნუზხარ ქოქიაშვილი** – “ანტიოქიის ეკლესია და კავლე სამოსათქმლის გვწალებლობა

ენისა და ლიტერატურის სექციის სხდომას თავმჯდომარეობდა - ფილოლოგიის დოქტორი თამთა ფარულავა.

მოხსენებებით გამოვიდნენ:

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი **ხვთისო ზარიძე** – “ქართული კაბიობრაფია.”

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი **ავთანდილ არაგული** – “ზოგიერთი ზმნისართის შედგენილობისა და დაწერილობისათვის კველ ქართულში.

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი **მედეა (მარიამ) ღლონტი** – “სინონიმურ წყვილთა უკუშენილი სემანტიკისათვის ქართულში (რწმენისა და ცოდნის გაერთიანების გამო).”

ფილოლოგიის დოქტორი **თამთა ფარულავა** – “ერთი როგანის ორი სახე/”

ფილოლოგიის მაგისტრი **ხათუნა ნიშნიაიძე** – “შემოქმედის დრო და სივრცე (დავით გურამიშვილის „დავითიანი“)

ფილოლოგიის დოქტორი **ხათუნა მემანოშვილი კალანდარიშვილი** – “სარწმუნოებრივ-მსოფლმხედველობრივი საკითხები ალექსანდრე ჭავჭავაძის შემოქმედებაში.”

ისტორიისა და ხელოვნებათმცოდნეობის სექციის სხდომას თავმჯდომარეობდა - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ელდარ გუგულაშვილი.

მოხსენებებით წარსდნენ:

პროფესორი **მერაბ გუჩუაშვილი**, გეოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი **გურამ ტყეშელაძე** – “ახალი შუამთის ტაძრის კედლის მხატვრობის მასალები და მიმდინარე მეორადი პროცესების ანალიზი.”

ფილოსოფიის დოქტორი **რუსუდან წიქვაძე** – “ისლამური ფილოსოფიური თეოლოგია.”

ფილოსოფიის დოქტორი **ელენე შუბლაძე** – “კველიბერძნული ფილოსოფიის რაციონალიზმი და ქრისტიანობა.”

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი **ელდარ გუგულაშვილი** – “1927-1935 წლებში საქართველოში არსებული უცნობი „საქართველოს ეროვნულ-სოციალისტური პარტიის“ პროგრამა.”

ისტორიის დოქტორი **ნინო თომაძე** – “ღმესასწაულები.”



10 მაისს გამართულ სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაზე მოხსენებებით გამომვიდნენ” თეოლოგიის სამაგისტრო პროგრამის პირველკურსელები:

ჯუბა თომაძე – “მართლმადიდებელი ეკლესია ქართლში როსტომ ხანის დროს (როსტომ ხანის ეკლესია მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ.)” (ხელმძღვანელი, პროფესორი, მიტროპოლიტი **ანანია ჯაფარიძე**).

ჟორაბ აკობია – “საეკლესიო კრება იმერეთში 1759 წელს .” (ხელმძღვანელი, პროფესორი, მიტროპოლიტი **ანანია ჯაფარიძე**).

მღვდელი გიორგი თანდილაშვილი – “სახელწოდება საქართველოს ეკლესიისა.” (ხელმძღვანელი, პროფესორი მიტროპოლიტი **ანანია ჯაფარიძე**).

გუსიკ გამყრელიძე – სოფხეთის ტერიტორიაზე რუსეთის ეკლესიის მიერ ეპარქიის დაარსების არალეგიტიმურობის საკითხები. (ხელმძღვანელი, პროფესორი **სერგო ვარდოსანიძე**).

ქრისტიანული უსიძოლობიის ფაკულტეტის პირველკურსელები:

შორენა მენთეშაშვილი – “ღავით აღმაშენებლის რეფორმები” (ხელმძღვანელი - ისტორიის დოქტორი **დურმიშხან ლაშხი**).

გიორგი ბებიძე “ კონსტანტინოპოლის დაცემის შეფასებისათვის” (ხელმძღვანელი - ისტორიის დოქტორი **დურმიშხან ლაშხი**).

ქრისტიანული ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტის მეოთხეკურსელი, **მანანა ცენტერაძე** – “რაჭის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია.” (ხელმძღვანელი – პროფესორი **ელდარ გუგულაშვილი**).

მღვდელი გიორგი თანდილაშვილი – “თანამედროვე ქართული ხელოვნების მართლმადიდებლურ პრინციპებთან მიმართების საკითხისათვის.” (ხელმძღვანელი, ფილოლოგიის დოქტორი **ხათუნა კალანდარიშვილი**).

დიაკვანი ბენო ტლაშაძე – “მართლმადიდებლობის როლი ქართული კულტურის ჩამოყალიბებაში” (ხელმძღვანელი – ფილოლოგიის დოქტორი **ხათუნა კალანდარიშვილი**).

მონუმენტური ხატუბის სპეციალობის მესამეკურსელი თამარ რატიანი - “ახალი შუამთის ტაძრის კედლის მხატვრობის მასალები და მიმდინარე მეორადი პროცესების ანალიზი.” (ხელმძღვანელები – პროფესორი **მერაბ გუჩუშვილი** და გეოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი **მურად ტყემალაძე**).



„სტუდენტური დღეები - 2022“

19-20 მაისს სტუდენტური დღეების ფარგლებში გაიმართა თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის სტუდენტთა კონფერენცია. ანჩისხატის ეზოში, საეკლესიო არქიტექტურის (ხუროთმოძღვრების), ხატწერის, დაზგური და მონუმენტური ხატწერის, რესტავრაციის ფაკულტეტის სტუდენტებმა მოაწვევეს ნამუშევრების გამოფენა. მონაწილეობდნენ: დავით რუხაძე, გოგი შეყილაძე, თეკლა გელაშვილი, ანა ლიქოკელი, ზურაბ ერაძე, გიორგი თურახაშვილი, საბა წოწორია, იოანე ლორთქიფანიძე, ხატია ტყეშუჩავა, ელისაბედ ხელაძე, ნიკოლოზ ლომინაშვილი, დავით კელაპტარიშვილი, ლუკა და შოთა კუხალაშვილები, თამაზ ბიჭიკაშვილი, ნინო სულაქველიძე, თამარ რატიანი, თათია ხუფენია.

სტუდენტური კვირეულის მონაწილეებს მიესალმა საეკლესიო არქიტექტურის (ხუროთმოძღვრების) ხატწერის, დაზგური და მონუმენტური ხატწერის, რესტავრაციის ფაკულტეტის დეკანი მამა იოსები. მან ისაუბრა სტუდენტთა ნიჭიერებასა და შრომისმოყვარეობაზე, მათ მიღწევებზე.

მოგვიანებით, კვირეულის მონაწილეებმა გადაინაცვლეს აუდიტორიებში, სადაც ძალზე საინტერესო რამ გველოდა. კერძოდ, დაზიანებული ხატ-ფრესკების კონსერვაცი-რესტავრაციის თაობაზე პროფესიული სჯა-ბაასი. მეოთხეკურსელმა ხატია ტყეშუჩავამ დამსწრეთ მოუთხრო „დაზიანებული“ ხატ-ფრესკების მომზადება-დამზადების პროცესზე, მათ ხელოვნურ დაზიანებასა და შემდგომ აღდგენის პროცესზე.

*

სტუდენტურ დღეებს განსაკუთრებული მნიშვნელობა შესძინა სტუდენტთა მიერ ინდივიდუალურად და ჯგუფურად მომზადებული მოხსენებების წარდგენამ. მოხსენებები თეოლოგიისა და ისტორიის საკითხებს შეეხებოდა და შესაბამისად, მომხსენებლებიც ისტორიისა და თეოლოგიის სექტორებში გადანაწილდნენ.

ისტორიის სექტორის მუშაობას უძღვებოდნენ ხატწერის მიმართულების 1-ელი კურსის სტუდენტი საბა წოწორია და ქრისტიანული ფსიქოლოგიის მე-2 კურსის სტუდენტი შორენა მენთეაშვილი. წარმოდგენილი მოხსენებები თემატური მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. აი ისინიც:



მანანა ცენტრაძე, ქრისტიანული ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტის მე-4 კურსი - აია სოფია (ხელმძღვანელი თამარ ბაღდავაძე);

საბა წოწორია, ხატწერის მიმართულების 1-ელი კურსი - ასპინძის ბრძოლა (ხელმძღვანელები: ნინო თომაძე, გიორგი მაისურაძე);

გიორგი გეგიძე, ქრისტიანული ფსიქოლოგიის ფაკულტეტის 1-ელი კურსი - კონსტანტინოპოლის დაცემა (ხელმძღვანელი ისტორიის დოქტორი დურმიშხან ლაშხი);

შორენა მენთეშაშვილი, ქრისტიანული ფსიქოლოგიის ფაკულტეტის 1-ელი კურსი - დავით აღმაშენებლის რეფორმები (ხელმძღვანელი ისტორიის დოქტორი დურმიშხან ლაშხი);

მარიამ ჯორჯაძე, ქრისტიანული ფსიქოლოგიის ფაკულტეტის 1-ელი კურსი-ვახტანგ მე-6 და პეტრე 1-ელი (ხელმძღვანელი ისტორიის დოქტორი დურმიშხან ლაშხი).



ისტორიის სექტორში წარმოდგენილი მოხსენებები შეაფასა ისტორიის კათედრის გამგემ, ისტორიის მეცნიერებათა და თეოლოგიის დოქტორმა, პროფესორმა სერგო ვარდოსანიძემ. მან ისაუბრა სტუდენტური დღეების მნიშვნელობაზე, საგულისხმო რჩევები მისცა მომხსენებლებს და ამასთან, მნიშვნელოვანი

მოსაზრებებიც გამოთქვა წარმოდგენილ საკითხებთან დაკავშირებით.

თეოლოგიის სექტორის მუშაობას ხელმძღვანელობდა თბილისის სასულიერო სემინარიის ფაკულტეტის დეკანი, მღვდელი გიორგი ვაშალომიძე. სხდომის მიმდინარეობას უძღვებოდა სემინარიის მე-3 კურსის სტუდენტი ზაურ გვარამაძე. მოხსენებებით გამოვიდნენ:

კახა შეწირული, ქეთევან ზუბიაშვილი, ირმა მაღრაძე, თორნიკე ადამაშვილი, ბაქარ გიგიაშვილი, ავთანდილ მათიაშვილი, ქრისტიანული ფსიქოლოგიის ფაკულტეტის მე-2 კურსი - ქრისტოლოგიური საკითხები იოანეს სახარების მიხედვით (ხელმძღვანელი გრიგოლ ხაჭაპურიძე);

მიქაელ ტარუაშვილი, ზაურ გვარამაძე, თეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მე-3 კურსი - დავით მეფსალმუნის რჩეულობის მიზეზის საეკლესიო ეგზეგეტიკა (ხელმძღვანელი თეოლოგიის დოქტორი ირაკლი ორჟონია);

თემურ სირბილაშვილი, თეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის 1-ელი კურსი - სასწაულებრივი თევზჭერა გალილეის ტბაში (ხელმძღვანელი თეოლოგიისა და ისტორიის დოქტორი, დეკანოზი გიორგი გუგუშვილი).

„სტუდენტური დღეების“ მონაწილეებმა ღონისძიების ორგანიზების მხარდაჭერისთვის განსაკუთრებული მადლობა გადაუხადეს რექტორს, პროტოპრესვიტერ გიორგი ზვიადაძეს, პრორექტორს სასწავლო და ადმინისტრაციულ დარგში დეკანოზ ბესარიონ ცინცაძეს, ხატწერის მიმართულების ხელმძღვანელს, დაკანოზ იოსებ ვანიძესა და მის თანაშემწეს - თამარ მამაცაშვილს, „სტუდენტური დღეები 2022-ის“ ორგანიზატორებს: თსას-ის სწავლულ მდივანს ხათუნა მემანიშვილს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის წარმომადგენლებს - ხათუნა ნიშნიანიძესა და თამთა ფარულავას.

მონაწილეთა შთაბეჭდილებებიდან

მართლმადიდებელი ეკლესია წარმოუდგენელია ქრისტეს, ღვთისმშობლის და სხვა წმინდანების გამოსახულებების გარეშე. სახარება სიტყვიერად გადმოგვცემს ქრისტეს ცხოვრებას, ხოლო ხატები სახიერად, ფერებით და ხაზებით წარმოგვიდგენენ მას. ხატი მხოლოდ ხელოვნების ნიმუში არ არის, პირიქით, მისი მთავარი არსი მდგომარეობს იმაში, რომ უკეთ შევიცნოთ ღვთის სიტყვა, შევიქმნათ ლოცვითი განწყობა, პატივი მივაგოთ წმიდას, რომელიც დაფაზეა გამოსახული.

უშუალოდ ჩვენი სასწავლებლის მიზანია, შეინარჩუნოს და გააგრძელოს ხატწერის ტრადიცია, ტექნოლოგია და მის საფუძველზე შექმნას თანამედროვე ხატწერის ნიმუშები. იმისთვის, რომ ხატი შევქმნათ, თანმიმდევრობით გავდივართ სხვადასხვა ეტაპს, რომელიც გრძელდება ოთხიწელიც. ამ ხნის განმავლობაში, სტუდენტები ვეუფლებით უნარ-ჩვევებს, რომელიც აუცილებელია ხატმწერად ჩამოყალიბებაში. (ხატვა, ფერწერა, კომპოზიციის საფუძვლები, ტექნოლოგიისა და მასალების ცოდნა). ასევე ვიღებთ ცოდნას თეოლოგიური კუთხით, რაც ხატის შინაარსის მატარებელია, საბოლოოდ კი, მიღებული ოდნით, ჩვენ შეგვიძლია ვემსახუროთ ღმერთს და ქვეყანას.

ხატია ტყეზუჩავა,

ხატწერის მიმართულების მე-4 კურსის სტუდენტი

*

თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია თავისი მიზნით და მოწოდებით ხელს უწყობს საგანმანათლებლო და სამეცნიერო მუშაობას, რაც ემსახურება საზოგადოებაში მართლმადიდებლური სარწმუნოების ფასეულობებისა და ეკლესიური ცხოვრების განმტკიცებას.

ამ მიზნის ფარგლებში აკადემიისა და სემინარიის სტუდენტებმა წარმოადგინეს ნამუშევრები, როგორც თავისუფალი სტილის დახატების და ხატების, ისე სამეცნიერო თემების სახით. ყოველივე ამას სტუდენტური კვირეულის ფარგლებში მასპინძლობდა ანჩისხატის ეზო.

სტუდენტური კვირეული გულისხმობს სტუდენტთა თვითრეალიზაციას, სამეცნიერო შემოქმედებით უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

გამოფენილი ნამუშევრები თვალნათლივ წარმოაჩენს ჩვენს შესაძლებლობებს. აქ წარმოდგენილი იყო, სხვადასხვა ჟანრის ნამუშევრები: გრაფიკა, ფერწერა, ხუროთმოძღვრება, ხატწერის და მონუმენტური ხატწერის რესტავრაციის ნიმუშები.

კვირეული თბილ და მეგობრულ გარემოში წარიმართა. მსგავსი ტიპის შემეცნებითი ღონისძიებანი ერთი-ორად ამაღლებს სტუდენტთა განწყობას და აძლევს მათ საშუალებას, ფართო ასპარეზზე წარმოაჩინონ საკუთარი ნიჭი და შესაძლებლობები. იმედს ვიტოვებთ კიდევ მრავალ ღონისძიებას უმასპინძლებს აკადემიისა და სემინარიის მრავალწლოვანი კედლები.

მადლობას ვუხდით ორგანიზატორებს, მასპინძლებს და მონაწილეებს გაწეული შრომისათვის.

საბა წოწორია

საეკლესიო არქიტექტურის (ხუროთმოძღვრების),
ხატწერის, დაზგური და მონუმენტური ხატწერის
რესტავრაციის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი

„სტუდენტური დღეები 2022“-ის დასკვნითი ღონისძიება

2022 წლის 19-20 მაისს თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიაში ჩატარდა სტუდენტური დღეები, რომელიც თავისი შინაარსითა და თემატიკით მეტად მრავალფეროვანი იყო. მასში მონაწილეობდა თითქმის ყველა ფაკულტეტის სტუდენტი.

რექტორის მხარდაჭერით სტუდენტური დღეების დასკვნითი ცერემონიის ჩატარება მცხეთასა და შიომღვიმეში დაიგეგმა. ეს დღე გახდა რექტორის ერთგვარი საჩუქარი „სტუდენტური დღეები 2022“-ის მთელი გუნდისთვის.

18 ივნისს თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის სწავლული მდივნის - ხათუნა მემანიშვილის, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის, ადმინისტრაციისა და სამედიცინო სამსახურის წარმომადგენელ ნანა ადამიასთან ერთად, სტუდენტური

დღეების მონაწილეთა ერთი ჯგუფი თბილისიდან შიომღვიმისაკენ გაემართა. ჯგუფს ხელმძღვანელობდა სემინარიის დეკანი, მღვდელი გიორგი ვაშალომიძე.

სტუდენტებმა დაათვალიერეს შიომღვიმის სამონასტრო კომპლექსი, გაიხსენეს ისტორიულ და ლიტერატურულ წყაროებში დაცული ცნობები წმიდა შიო მღვიმელის, ჩვენში მოღვაწე სხვა ასურელი მამების შესახებ და თაყვანი სცეს იქ დაცულ საწმინდეებს. ბოლოს, დავით აღმაშენებლის სახელობის დარბაზში, სადაც დიდი მეუდაბნოე მამის, წმიდა შიო მღვიმელის საფლავია, გაიმართა სტუდენტურ დღეებში მონაწილე პირთა საზეიმო დაჯილდოება. სასწავლებლის სახელით, მონაწილეებს დიპლომები და საჩუქრები გადასცა მღვდელმა გიორგი ვაშალომიძემ.

შიომღვიმის შემდეგ ორგანიზატორებმა და მონაწილეებმა მცხეთის სიწმინდეები მოინახულეს. სვეტიცხოვლის ტაძარში მათ გულითადი მასპინძლობა გაუწია სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრის წინამძღვარმა, არქიმანდრიტმა სერაფიმემ (ჭედია), მან მონაწილეებს მოუთხრო იმ მნიშვნელოვანი სიახლეებისა და აღმოჩენების შესახებ, რაც სვეტიცხოვლის ტაძრის ბოლოდროინდელი არქეოლოგიური და სარესტავრაციო სამუშაოების შედეგად გამოვლინდა. ჯგუფის მონაწილეებმა მოინახულეს სამთავროს დედათა მონასტერიც, პატივი მიაგეს სიწმინდეებს, მოილოცეს მამა გაბრიელის საფლავი, დაათვალიერეს სამთავროს მუზეუმი.

შთაბეჭდილებებით აღსავსე, ემოციებით დატვირთული დღე დასრულდა საზეიმო სერობით. სტუდენტური დღეების მონაწილეებსა და ორგანიზატორებს გულითადად უმასპინძლა მცხეთის წმიდა ბარბარეს ტაძრის წინამძღვარმა არჩილ ოქრუაშვილმა.

ასმათ ჯიქია

სამეცნიერო კონფერენციებისა და „სტუდენტური
დღეების“ ილუსტრაციები
გიორგი მაისურაძისა

ორი გამორჩეული დღე არქიტექტურის, მონუმენტური ხატწერისა და რესტავრაციის ფაკულტეტზე

სამონასტრო კომპლექსის პროექტი

23 ივნისს შედგა თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის არქიტექტურისა და ხატწერა-რესტავრაციის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა - ბაკალავრთა ლუკა კვირჩილასა და დავით კელაპტრიშვილის - სადიპლომო ნაშრომების წარდგენა - დაცვა. ხელმძღვანელები ნანა აბრამია და მედეა მელქაძე.

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ ნაშრომი არ წარმოადგენდა ოდენ შემენილი არქიტექტურული ცოდნის ნაყოფს - ეს იყო უნიკალური შემთხვევა, როდესაც პროექტი მომზადდა და, ეპარქიის ხელმძღვანელთან შეთანხმებით, ნეკრესის ეპარქიაში, ლაგოდეხის მიმდებარედ სოფელ ბაისუბანში (უტაძრო სოფელია) მოინიშნა ტერიტორია, სადაც წარმოდგენილი პროექტი განხორციელდება.

პროექტი სამონასტრო კომპლექსია, სადაც უპირველესი ყურადღება ეთმობა ტაძარს ბერთათვის. დანიშნულებისამებრ გათვლილია თითოეული ოთახი: კელიები თუ სატრაპეზო, ბიბლიოთეკა... უწმინდესის მისაღები და მოსასვენებელი ოთახები. სამეურნეო ნაგებობები - საწყობი, ხეხილის ბაღები, ბოსტნებისა და ვაზის გასაშენებელი ფართობი... პანთეონი! ეს ყველაფერი გამოყოფილია ღობით მეორე ნაწილისაგან, რომელიც გათვალისწინებულია მომლოცველთათვის - ტაძარი, სასადილო და მოსასვენებელი ოთახები, მანქანის სადგომი, კარიბჭე. აქვე იქნება მოხუცებულთა თავშესაფარი, სასწრაფო დახმარების ცენტრალური პარკი, ტაძართან ახლოსაა ტყის მასივი. დიპლომანტთა ნაფიქრით ერი და ბერი ერთად და ცალ-ცალკე თავიანთი საქმითა და სივრცით.

ტაძრები აიგება ნიჩბისის ქვით, გადაიხურება კრამიტით და, რაც ძალზე გასახარი და თავმოსაწონებელი იყო ყველასთვის, ტაძრები, რომლებიც ოშკის სიდიადით იყო შთაგონებული, აიგება ოქროს კვეთის პრინციპით!

დეკანოზმა ბესარიონ მენაბდემ მადლობა გადაუხადა დიპლომანტებს და ხაზგასმით აღნიშნა, რომ პროექტში ორის სული და გონი, შესაძლებლობები წარმოდგენილია საოცარი შერწყმით - ორი სული ერთ პროექტში. მანვე გამოთქვა სურვილი, რომ საინტერესო იქნებოდა შემდეგისთვის არქიტექტორთა და ხატმწერთა ერთობლივი სადიპლომო ნამუშევრის ხილვა. როგორ დაინახავდა ფერმწერი კომპოზიციისა და ხატებისათვის ტაძარს ან არქიტექტორი როგორ მიაწვდიდა ყოველივეს ფუნჯის ოსტატს?

დასასრულს, სასულიერო აკადემიისა და სემინარიის პრორექტორმა, დეკანოზმა ბესარიონ ცინცაძემ, ხელოვნებათმცოდნეობის კათედრის გამგემ, პროფესორმა რუსუდან ვაშალომიძემ, სასულიერო სემინარიის დეკანმა, მამა გიორგი ვაშალომიძემ, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის თანამშრომლებმა მადლობა გადაუხადეს, მიულოცეს და დალოცეს დიპლომანტები, მათი ხელმძღვანელები.

რესტავრატორები და ხატმწერები წარმატებით იცავენ სადიპლომო ნაშრომებს

**გელათის სამონასტრო კომპლექსის იტალიელი
რესტავრატორები თანამშრომლებად მხოლოდ თბილისის
სასულიერო აკადემიის კურსდამთავრებულებს ირჩევენ!**

24 ივნისს შედგა თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის არქიტექტურის, მონუმენტური ხატწერისა და რესტავრაციის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა სადიპლომო ნამუშევრების წარდგენა - დაცვა. დაცვას ესწრებოდნენ სასულიერო აკადემიისა და სემინარიის რექტორი, პროტოპრესვიტერი გიორგი ზვიადაძე, საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების ცენტრის ხელმძღვანელი, მიტროპოლიტი დავითი (მახარაძე), სასულიერო აკადემიისა და სემინარიის პრორექტორი, დეკანოზი ბესარიონ ცინცაძე, სასულიერო აკადემიისა და სემინარიის ხელოვნებათმცოდნეობის კათედრის გამგე რუსუდან ვაშალომიძე, პროფესორ-მასწავლებლები.

დამსწრეთ მიმართა ხატწერისა და რესტავრაციის კათედრის გამგემ, პროფესორმა მერაბ ბუჩუკურმა და გაუზიარა მათ დიდი სიხარული. მოახსენა, რომ გელათის სამონასტრო კომპლექსის იტალიელი რესტავრატორები თანამშრომლებად მხოლოდ თბილისის სასულიერო აკადემიის კურსდამთავრებულებს ირჩევენ! რომ აკადემიის წარმატებულ კურსდამთავრებულ რესტავრატორებს მაგისტრატურაში სწავლის გასაგრძელებლად მიავლენენ იტალიის უნივერსიტეტებში. სწავლის ხარჯებს უზრუნველყოფს სახელმწიფო. და რომ ამ ბედნიერი წუთებისათვის უნდა კიდევ ერთხელ დიდი მადლობა გადაუხადოს ამ ფაკულტეტის სულის ჩამდგმელს, ჩვენს უსაყვარლეს უწმინდეს პატრიარქ ილია მეორეს, რომელიც ძალიან ხშირად ეწვეოდა ხოლმე ფაკულტეტს, ამხნევებდა ახალბედა რესტავრატორებს. ბატონმა მერაბმა დიდი მადლობა მოახსენა სასწავლებლის რექტორს, პროტოპრესვიტერ გიორგი ზვიადაძეს, რომელიც ზოგჯერ შეუძლებელსაც აკეთებს ფაკულტეტის გასამდიერებლად. თქვენი აქ მობრძანება დღევანდელ დღეს, - მიმართა ბატონმა მერაბმა მეუფე დავითს, კომისიის წევრებს, დაინტერესებულ საზოგადოებას, არის ნიშანი იმისა, თუ რაოდენ საჭირო, საშური საქმე კეთდება ამ კედლებში.

დიპლომანტებმა: ნინო სულაქველიძემ, თათია ხუფენიამ, თამაზ ბიჭიკაშვილმა დამსწრეთ წარუდგინეს მირქმის ფრესკა. აღინიშნა, რომ სტუდენტები მუშაობდნენ ორი მიმართულებით - ფრესკა შექმნეს თვითონ და თვითონვე დააზიანეს. აღდგენაზეც ერთად იმუშავეს. დიპლომანტებმა დაწვრილებით ისაუბრეს გაწეული სამუშაოს შესახებ, რაც საკმაოდ ძნელი აღმოჩნდა. აღნიშნული ფრესკის შექმნისას შთაგონების წყაროს წარმოადგენდა მეთორმეტე საუკუნის სინის წმინდა ეკატერინეს მონასტრის მინიატურული ხატი.

აღინიშნა, რომ „მინიატურის დიდ ტილოზე გადატანა, პროპორციების დაცვით, არის საკმაოდ რთული და რომ, ეს სირთულე დაძლეულია ბრწყინვალედ“ (მიტროპოლიტი დავითი).

რესტავრატორები ხატმწერებმა შეცვალეს. ხატია ტყეზუჩავამ, მარიამ ღონღაძემ, ელისაბედ ხელაძემ, ნიკოლოზ ლომიტაშვილმა წარმოადგინეს მახარებელთა - მათე, მარკოზ, ლუკა და იოანეს ხატები, რომელიც შექმნეს სინის წმინდა ეკატერინეს მონასტრის მეათე-მეთერთმეტე საუკუნეების მინიატურათა მიხედვით.

ხატმწერებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ხატზე მუშაობის დაწყებამდე ძალიან ბევრს კითხულობდნენ, ეცნობოდნენ სახარებას, მოციქულთა ცხოვრებას. ითვალისწინებდნენ ქართულ ტრადიციებს.

რექტორი, პროტოპრესვიტერი გიორგი ზვიადაძე: „მახარებს თქვენი წარმატება, როგორ გაიხარებს ჩვენი პატრიარქი თქვენით! კარგი იქნებოდა სხვა ფაკულტეტთა დიპლომანტები, მაგისტრატურის სტუდენტებიც იყვნენ აქ დღეს - ისინი კარგ მაგალითს მიიღებდნენ. მახარებს თქვენი, ერთდროულად, შინაგანი თავისუფლებისა და თავშეკავების ნახვა. მორიდებული დგომა ფრესკასთან, წმინდა წერილის ცოდნა... მადლობა კათედრის თანამშრომლებს, მადლობა თქვენს პედაგოგებს, მადლობა მამა იოსებს (ვანიძე), ბატონებს მერაბ ბუჩუკურს, მიხეილ ბახტაძეს, ზაზა სუმბაძეს, ლაშა ვანიძეს“.

ასმათ ჯიქია,
სალომე გოგინაშვილი



ხმა ერიდან

ზეციური სტუმარი დედამიწაზე (მოკრძალებული სიტყვა პატრიარქზე)

უფლის ნება რჩეულში ვლინდება. მხოლოდ ღრმადმორწმუნე და თავდადებულ, უანგარო და გონიერ ადამიანს სულიერი ნიჭებით, საკუთარი ერის გულისთქმის შეცნობით, შორსმჭვრეტელობით აჯილდოვებს მაცხოვარი.

რჩეული ერისკაცები ქვეყანასაც ადიდებენ და თვითმყოფადობით, გენეტიკური კოდის, ეროვნული ენერგიის გამოვლინებით მთელ კაცობრიობას აცისკროვნებენ.

ასეთი პიროვნება - რჩეული რჩეულთა შორის, ბრძენი ბრძენთა შორის, მეცნიერი მეცნიერთა შორის, რომლის გული და გონება მთელი ქვეყნის სატკივარს იტევს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II ბრძანდება. შემთხვევითი როდია, რომ ჩვენი ეკლესიის საჭეთმპყრობელს საქართველოს ანთებულ კანდელად თვლიან.

სიტყვა პატრიარქზე ვერ დაიტევს მთელი ერის სიყვარულს, ტკივილს და იმედს, საშინელი ეპოქის ტრაგიკულ სვლას, ნამოღვაწარის მნიშვნელობას, მიღწევების სიდიადეს...

მკითხველს მხოლოდ რამდენიმე ეპიზოდს, ჩემს მოკრძალებულ თვალთახედვას, პირადი შეხვედრების ემოციურ ანალიზს შევთავაზებ და ყოველივე განცდილი, შესაძლოა, მცირე მოზაიკას შეადგენს ამ ბუმბერაზი ადამიანის სულიერი პორტრეტისათვის.

უწმიდესს და უნეტარესს უშუალოდ პირველად შევხვდი 1978 წელს. მე- ახალბედა ჟურნალისტი, აღშფოთებული, აღელვებული, გაოგნებული ვეწვით საქართველოს პატრიარქს რეზიდენციაში, სიონის გვერდით. მოვახსენე ჩემი შთაბეჭდილებები დავითგარეჯის შესახებ, უძველესი და უნიკალური სამონასტრო კომპლექსი აზერბაიჯანელი მწყემსებითა და რუსი ჯარისკაცებით იყო სავსე, რომლებიც სროლის დროს ახლომდებარე პოლიგონიდან ქართულ ძეგლს ჭურვების სამიზნედ იყენებდნენ.

პატრიარქის ბრძნული შეგონება იყო: დაწერეთ მშვიდად, მეცნიერების, ფართო საზოგადოების წარმომადგენლების აზრთა გამოყენებით... იმ დროს ეკლესიებზე, მონასტრებზე, მეფეებზე, რელიგიაზე, წმინდანებზე, საღვთისმეტყველო ლიტერატურაზე, ძეგლებზე წერა აკრძალული იყო. მინისტრთა საბჭოში არსებობდა რელიგიის საქმეთა რწმუნებულის აპარატი, რომელიც ცენზორის როლს ასრულებდა. ჩემი დაწერილი „დავითგარეჯი შველას ითხოვს!“ დაიბეჭდა. მას დიდი გამოხმაურება ჰქონდა, ასევე მსჯელობის საგნად იქცა აფეთქებები გელათთან, მშენებლებს მარმარილოს ნამსხვრევები რომ მიეღოთ. უნიკალური მოზაიკის, გელათის დაზიანებაზე არავინ ფიქრობდა. პატრიარქის აღსაყდრების ერთი წლის შემდეგ ეს განყოფილება მინისტრთა საბჭოში გაუქმდა. წერილი ძეგლებზე, ციხესიმაგრეებზე, წარსული დიდების და გმირობის დამუწეხებულ მოწმეებზე ჩემი ჟურნალისტური ინტერესების სფერო გახდა. ჩემი კოლეგებიც თავისუფლად წერდნენ ჩვენს დიდებულ წარსულზე.

1978 წლის 14 აპრილი. საქართველოს სსრ კონსტიტუციიდან მუხლი ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსის შესახებ უნდა ამოეღოთ. ქვეყანამ სიმწრით ამოიკვნესა: „როდემდე!“ ათიათასობით სტუდენტი, საზოგადო მოღვაწე, პატრიოტი დილის 9 საათიდან დაიძრა რუსთაველის გამზირისაკენ. ყველა დაწესებულების კარი ჩარაზული იყო. შესახვევებში ჯარის ნაწილები, ტანკები, მძიმე ტექნიკა იდგა. მიღებული იყო საიდუმლო ბრძანება: „მზადყოფნა N1“, რაც სროლას მიზანში, ითვალისწინებდა. უწმიდესისა და უნეტარესის ჩარევის შემდეგ, რომელმაც ხელისუფალთ აუხსნა, რომ ქართული ენის დაცვა არის მათი უპირველესი ამოცანა, სისხლი არ დაღვრილა. კონსტიტუციის 75-ე მუხლით ქართული ენა დაკანონდა სახელმწიფო ენად და საერთო სახალხო მღელვარება მშვიდობიანად დასრულდა.

1978 წელს გამოვიდა პირველი მართლმადიდებლური ალმანახი „ჯვარი ვაზისა“. უწმიდესმა ჩვენი საუბრის შემდეგ, რომელიც ბაგრატიონ-მუხრანელების ბედს ეხებოდა, ალმანახი წარწერით და დალოცვით გადმომცა, მე კი ოჯახში სასწაულებრივად შენახული საზიარებელი ვერცხლის კოვზი გადავეცი პატრიარქს.

პატრიარქმა 2001 წლის 2 დეკემბერს ბრძანა: „ღმერთს შევსთხოვ, უპირველეს ყოვლისა, მართლმადიდებელი რწმენა და ზნეობა განმტკიცდეს ჩვენს ბავშვებში. მე არა ერთხელ მითქვამს და დღესაც ვიმეორებ, რომ სკოლებს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ხელისუფლების, ეკლესიის, სამღვდელოების, მორწმუნე ერის მხრიდან იმიტომ, რომ სკოლაში ჩვენმა შვილებმა მხოლოდ ცოდნა არ მიიღონ. სიტყვაში - განათლება - უპირველეს ყოვლისა, ნათლის, მაღალი ზნეობის მიღება იგულისხმება. სწორედ ეს არის მნიშვნელოვანი“.

ჩვენ ბედნიერები ვიყავით, რომ უწმიდესმა და უნეტარესმა, კათოლიკოს-პატრიარქმა ნიკო ბაგრატიონის სახელობის თავად-აზნაურთა სკოლა-ლიცეუმში დალოცა და ამ ღოცვა-კურთხევაში ჩვენი მოქმედების ძირითადი ამოცანები დაგვისახა: მომავალი თაობის აღზრდა რწმენისა და ზნეობის მაგალითებზე.

ჩვენთვის ისტორიულ საგვარეულოთა შთამომავლების, თავად-აზნაურთა და მათ თანამდგომთა საკრებულოს, ნიკო ბაგრატიონის საზოგადოების, მონარქისტული მოძრაობა „სამეფო გვირგვინი“-ს წევრებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანია პატრიარქის აზრები სამეფო დინასტიაზე. მონარქიაზე, ქვეყნის მომავალზე, პატრიარქის ყველა წინადადება, აზრი, დებულება, მიმართვა - ჩვენთვის მოქმედების სტრატეგია და ტაქტიკა. „გზა მონარქიისაკენ“ - ამ დევიზით 2001 წლის 28 სექტემბერს გამართული კონფერენციის მონაწილეებს უწმინდესმა ასე მიმართა:

ჩვენ ვისაუბრეთ ბაგრატიონთა როლზე და სამეფოს აღდგენაზე მომავალში. უპირველეს ყოვლისა, ჩვენი ვალია ერი მოვამზადოთ ამისათვის. თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ ამ მდგომარეობაში, რომელშიც იმყოფება დღეს ჩვენი ქვეყანა, ამ დაპირისპირებასა და კინკლაობაში, რა თქმა უნდა, ძნელია ამის გაკეთება და მეორე, ძალიან მნიშვნელოვანია თავად ბაგრატიონთა მომზადება ამისათვის...”

სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, უწმიდესი და უნეტარესი ილია II-ის სიტყვა წარმოთქმული საქართველოს ისტორიულ საგვარეულოთა შთამომავლების, თავად-აზნაურთა და მათ თანამდგომთა საკრებულოს მიერ მოწყობილ პატრიარქის აღსაყდრების 25-ე და დაბადებიდან 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო შეხვედრაზე, ასევე ნიშანდობლივია შორსმჭვრეტელობით:

„ბატონიშვილო, კოტე, ქალბატონებო და ბატონებო! ნამდვილად ბედნიერი დღეა დღეს: ბედნიერი არა იმიტომ, რომ ჩემი აღსაყდრების 25-ე და დაბადების 70-ე წელს აღვნიშნავთ, არამედ იმიტომ, რომ ჩვენ ერთად ვართ. მე მახსენდება 1977 წლის პირველი დღეები; ჩვენი უპირველესი სურვილი იყო, რომ ერთად ვყოფილიყავით, გამთლიანებულიყო, გაერთიანებულიყო ჩვენი ერი. ვფიქრობ, ეკლესია ის სულიერი და ღვთაებრივი ძალაა, რომელიც ამთლიანებს ჩვენს ერს და მომავალშიც გაამთლიანებს.

აქ ბევრი ითქვა ბაგრატიონების და საერთოდ დიდგვაროვნების შესახებ. - იმის შესახებ რაც თავადაზნაურობამ გააკეთა საქართველოსთვის. მე მინდა ვთქვა, რომ ბაგრატიონებს ჯერ მთავარი სიტყვა არ უთქვამთ. ეს მომავალში უნდა გააკეთონ. ასე რომ, ჩვენ იმედით ვცხოვრობთ და ველოდებით იმ ბედნიერ დღეს, როცა ბაგრატიონები თავის სიტყვას იტყვიან...”

ჩვენ მრავალი კონფერენცია და შეხვედრა ჩავატარეთ საქართველოს საპატრიარქოში, რომელიც ბაგრატიონებს მივუძღვენით, მრავალი საინტერესო მოხსენება და გამოსვლა მოვისმინეთ, მაგრამ პატრიარქის დასკვნითი სიტყვები ყოველთვის ყველაზე ტევადი, მოულოდნელი და ორიგინალური იყო აზრის თვითმყოფადობით, რაციონალურის და ემოციურის შერწყმით, ნოვაციური თვალთახედვით. ჩემთვის საოცრად მნიშვნელოვანი, ემოციური და დაუფიქარი იყო ჩვენი შეხვედრა სვეტიცხოვლის საპატრიარქო რეზიდენციაში 2007 წლის 27 ივლისს, როცა ჩატარდა სამეცნიერო კონფერენცია „ბაგრატიონი იცნობის“ ... პატრიარქმა ბრძანა მაშინ: „ჩვენი შეხვედრა შედგა სვეტიცხოველში, სადაც ყველა მეფეს მუხლი მოუყრია, ულოცია საქართველოს მშვიდობისა და კეთილდღეობისათვის. ჩვენ კიდევ ერთხელ გავიაზრეთ ის, რომ მთელი ჩვენი წარსული, ჩვენი სულიერება, ჩვენი კულტურა ეფუძნებოდა ბაგრატიონთა გვარს. ბაგრატიონნი ყველაფერს აკეთებდნენ, რომ საქართველო გაბრწყინებულიყო. ეს არ არის უბრალო საქმე. ბაგრატიონთა წარმომადგენლები იყვნენ ერის სათავეში სულიერადაც. თქვენ ბრძანეთ, ქალბატონო ია, რომ ბაგრატიონთა გვარი

ტრაგიკული გვარია. პირველობა საერთოდ ტრაგიკულია. ვინც არის პირველი, ის ხდება სამიზნე. მაგრამ მაინც ბედნიერია ბაგრატიონთა გვარი და მე ვფიქრობ, რომ ლოცვა-კურთხევითა დავითისადა სოლომონისა დღემდე მოსდგამს თქვენს გვარს. ბაგრატიონთა გვარი იყო და არის კლდე, რომელსაც ყერდნობოდა ჩვენი წარსული და რომელსაც უნდა დაეყრდნოს ჩვენი მომავალი. თქვენ იცით, მაცხოვარმა პეტრეს უწოდა კლდე და ამიტომ მე მიწადა სწორედ პეტრე მოციქულის ვერცხლის ხატი მოგართვით. რაც შეეხება მომავალს, მომავალი ღვთის ხელშია და მე იმედი მაქვს, რომ ბაგრატიონთა გვარი კვლავ იმეფებს საქართველოში...”

სრულიად საქართველოს პატრიარქის იმედი, ჩვენი ერთობლივი გულისთქმა, ერის შინაგანი მზაობა სწორედ ამ ამალღებულ იდეასთან, ევროპაში უძველესი დინასტიის აღზევებასთან არის დაკავშირებული. ჩვენს იმედს, ჩვენს სიხარულს დიდი ზიძგი მისცა საქართველოს პატრიარქის საკვირაო ქადაგებამ ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში 2007 წლის 7 ოქტომბერს. მაშინ პატრიარქმა ერს შესთავაზა კონსტიტუციური მონარქიის იდეა. მან ბრძანა: „დღეს ჩვენს ქვეყანაში ზოგიერთი გამოთქვამს ასეთ აზრს, რომ საქართველოში უნდა დამყარდეს კონსტიტუციური მონარქია. განვიმარტავთ, თუ რას ნიშნავს ეს. ეს ნიშნავს იმას, რომ მეფე მეფობს, მაგრამ არ მართავს. მეფე არის გარანტი ქვეყნის მთლიანობისა და ყოველი ადამიანის დაცვისა; და შეიძლება, მომავალში ქართველმა ხალხმა ამის შესახებაც იფიქროს... ქართველი ხალხი მზად უნდა იყოს ამისათვის, რომ ეს ნდობა მიიღოს. შესაბამისად, ბაგრატიონთაგან უნდა იყოს გამორჩეული სამეფო კანდიდატი. შეიძლება იგი საგანგებოდაც აღვზარდოთ. ასე იყო უწინ, ბავშვობიდან იზრდებოდა და ტახტისთვის საგანგებოდ მზადდებოდა ის ადამიანი, რომელიც შემდეგ მეფედ უნდა კურთხეულიყო. ყოველივე ამას იმიტომ ვამბობ, რომ დღეს ისეთი პირობები შეიქმნა, როცა ქართველი ხალხის ეს ოცნება შეიძლება განხორციელდეს...”

უზომო იყო ეს სიხარული ამ ქადაგების მოსმენის შემდეგ, რამეთუ 1990 წლიდან, 23 ნოემბრიდან ვემსახურებით ამ იდეას, რომელსაც ხორცმესხმა სჭირდება, ერი და ბერი, ღვთიკურთხეული მეფის მოლოდინში ვართ. ჩვენმა ბრძენმა პატრიარქმა განჭვრიტა საქართველოს მომავალი და მიმართა ერს ზუსტად იმ დროს, როცა ეს განწყობაც მომწიფდა ერში, როდესაც მრავალ ჭირვარამგამოვლილმა ქართველმა შეიგრძნო, რომ მხოლოდ მეფე გააერთიანებს სრულიად საქართველოს, შეკრებს წართმეულ ისტორიულ კუთხეებს, გაამლიერებს ქვეყანას, რომელიც ყოველთვის კავკასიის ღერძს წარმოადგენდა, მშვიდობის, ზნეობის, რწმენის გარანტი იქნება ყველასათვის და დავით წინასწარმეტყველის დარად მირონცხებული სვეტიცხოვლის ტაძარში იტყვის თავის მეფობაზე, რომ არა თვით, არამედ „უფალი მეფობს!“

ჩვენთვის გასაკუთრებით სასიხარულო და მნიშვნელოვანი იყო 2007 წლის 27 ნოემბერს პატრიარქის მობრძანება მთავარანგელოზობის დღესასწაულზე ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძართან არსებულ ახალგაზრდულ ცენტრში საქართველოს ისტორიულ საგვარეულოთა შთამომავლების, თავად-აზნაურთა და მათ თანამდგომთა საკრებულოს II ეროვნულ კონფერენციაზე.

პირველი ეროვნული კრება გაიმართა 105 წლის წინათ, 1917 წლის 21 ნოემბერს. თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა სადეპუტაციო საკრებულოს წინამძღოლმა, ილია ჭავჭავაძის დისშვილმა, გენერალმა კოტე აფხაზმა თავად-აზნაურობის მთელი ქონება გადასცა ქართველ ერს. როგორც რევაზ გაბაშვილი წერდა, ეს ქონება 26 მილიონი ოქროს მანეთის ღირებულებისა (8 მილიონი ფრანკის) დაედვა საფუძვლად ჩვენს დამოუკიდებლობას.“

1990 წლიდან, ჩვენი საკრებულოს აღდგენის პირველი დღიდან, ჩვენი წინაპრების ღვაწლსა და გმირულ თავდადებას ვახსენებდით ჩვენს ქვეყანას, რომელიც ჯერ ცარიზმს, 1921 წლიდან კი რუსული კომუნისტური იმპერიალიზმის წნეხის ქვეშ იმყოფებოდა, სპობდა ეროვნულ ფასეულობებს, მართლმადიდებლურ ეკლესიას, ქართულ ძეგლებს და კულტურას. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ყოველთვის იყო და არის ერის ინტერესების დამცველი, ქვეყნის მზრუნველი პატრონი, თავდადების და ღირსების მატარებელი. პატრიარქის სიყვარულსა და თანადგომას ყოველთვის ვგრძნობდით, მაგრამ მისმა სიტყვამ სამების ტაძარში საოცარი გრძნობით, მადლით, სიხარულით აღავსო ჩვენი გულები, რამეთუ თავად-აზნაურობის ღვაწლი ქვეყნის წარსულსა და აწმყოში პირველად იყო შეფასებული ასე ზუსტად და ობიექტურად.

„... დღეს არის ისტორიული დღე, - ბრძანა მაშინ საქართველოს სულიერმა მოძღვარმა. აღვნიშნავთ, რა ამ დღეს, მინდა კიდევ ერთხელ გავაანალიზოთ და ვიფიქროთ იმის შესახებ, თუ რა წვლილი მიუძღვის თავად-აზნაურობას ჩვენი ერისა და ეკლესიის წინაშე. უნდა ითქვას, რომ ყოველი მნიშვნელოვანი ფაქტი, თითქმის ყოველი წმინდა ხატი, ჯვარი და სიწმინდე შექმნილია ან ეკლესიის, ან თავად-აზნაურობის მეთაურობითა და ღვაწლით. უნდა ითქვას, რომ ჩვენი ეროვნული, კულტურული და სულიერი ფასეულობანი, შექმნა და გადაარჩინა თავად-აზნაურობამ. თავად-აზნაურობა მუდამ გვერდში ედგა საქართველოს სამოციქულო ეკლესიას. ეს იყო უდიდესი ძალა.

ჩვენ ძალიან ხშირად ვლაპარაკობთ იმის თაობაზე, თუ რა გააკეთა თავად-აზნაურობამ წარსულში. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს არის უდიდესი ღვაწლი, უდიდესი შრომა და საქართველოს ეკლესია დიდად აფასებს ამას, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. ჩვენ უნდა ვიფიქროთ იმის შესახებ, თუ რას გააკეთებს თავად-აზნაურობა დღეს ან ხვალ. როცა ჩვენს წარსულს ვუყურებთ, ვხედავთ, რომ ღვაწლი თავადაზნაურობისა უდიდესია...”

უწმიდესის სიტყვაში თავად-აზნაურობის წარსულში ღვაწლის შესახებ თავად-აზნაურთა მიმართ ამჟამინდელი მოწოდებაც იყო: „ჩვენ უნდა ვიფიქროთ, რა უნდა აკეთოს ამისათვის დღეს ამ ურთულეს პერიოდში თავადაზნაურობამ. ჩემი აზრით, მთავარი პასუხისმგებლობა და უდიდესი საქმე, რომელიც შეიძლება მან შეასრულოს, ეს არის უცხოეთში გაბნეული ქართველების დაბრუნება სამშობლოში და მუდმივი კავშირი მათთან. ქართველნო, ერთად ღვთისაკენ! ეს მოწოდება რამდენიმე წლის წინ გამოვთქვით, თავად-აზნაურობამ უნდა იფიქროს და იღვაწოს, რომ ეს მოწოდება შესრულდეს.

ვფიქრობ, რომ თავად-აზნაურობა მომავალში კიდევ იტყვის თავის ძლიერ სიტყვას მთლიანობისა და კეთილდღეობის საქმეში. მასში არის ღვთისაგან ბოძებული ძალა და ეს სულიერი ძალა უნდა გამოვლინდეს.

ჩვენი ეკლესია მუდამ იყო ის სულიერი ძალა, რომელიც ადუღაბებდა და ამთლიანებდა სრულიად საქართველოს. მიმაჩნია, რომ თავად-აზნაურობამ ეკლესიასთან ერთად ყველაფერი უნდა გააკეთოს ჩვენი ერის საკეთილდღეოდ და მამულის სასარგებლოდ...”

ჩვენი პატრიარქის სიტყვა ფაქტიურად ჩვენი მოქმედების და მომავალი საქმიანობის მნიშვნელოვან და აქტუალურ გეგმას შეადგენს. ჩვენ ძალისხმევას და თავდადებას არ ვიმურებთ ამ რჩევის შესასრულებლად.

ჩვენი ერის სულიერი მამა ბუნებამ მრავალი ნიჭით დააჯილდოვა. უდიდესი ღვთისმეტყველი, ხატმწერი, ქართული მრავალხმიანობის მოტრფიალე და შემფასებელი, საეკლესიო გალობის ღრმად მცოდნე, ტაძრების, მონასტრების, სულიერი კერების აღმაშენებელი, ის დღენიადაგ ზრუნავს ადამიანთა სულების აღშენებაზე, ჰარმონიის დამკვიდრებაზე საზოგადოებაში და ქვეყანაში.

შესანიშნავი ხატმწერი, უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი არა მარტო ოსტატურად ფლობს ქართული ფრესკული ფერწერის საუკუნოვან ტრადიციებს და საიდუმლოებებს, არამედ თამამად შემოაქვს შემოქმედებაში ძალზე ძლიერი პოეტური ნაკადი. მისი ფერწერა, აზროვნებაა ფერით, ლოცვა და საიდუმლო გულის, სიმღერაა გამოვლენილი ფუნჯით და ფანქრით. უბრალო და გულშიჩამწვდომი ქადაგების მსგავსად, პატრიარქის ხატები ყურადღებას იპყრობენ უმაღლესი ტექნიკით, რომელიც იკარგება, დნება, ნამუშევრის სიღრმეში, რათა ყურადღება შევაჩეროთ მთავარზე, სულიერებაზე. ასეთია მისი ღვთისმშობელი, ჩვენი დედა და კაცობრიობის ყველა ბავშვის დამცველი, რომელიც ლოცულობს და ზრუნავს წილხვედრ ქვეყანაზე; ასეთია დავით წინასწარმეტყველი - მეფე-პოეტი და მეფე-მეფსალმუნე, ასეთია თამარ მეფე, რომლის თლილ სახეს, ნუშისფერ, სევდიან თვალებს, ოქროსფერ გვირგვინს ვერ აშორებ მზერას და კვლავ ფიქრობ მეფის მძიმე ჯვარზე, მის ნებისყოფაზე და უდიდეს სიყვარულზე ღვთისადმი, ქვეყნისადმი, რომელსაც 28 წელიწადი უძღვებოდა...

პატრიარქის ხატებს რომ ვიხსენებ, უნებლიედ ისმის მისი გალობა ჩემს ჩემს გულში „წმინდაო ღმერთო!“

ვერასოდეს დავივიწყებ იმ საოცარ სიტბოს, რომელსაც ვგრძნობ მასთან შეხვედრების დროს. მამაჩემის - ლეონიდე ბაგრატიონის გარდაცვალების შემდეგ, პატრიარქმა ჩვენი თხოვნა შეგვისრულა და სვეტიცხოველში - ბაგრატიონ-მუხრანელების და მეფეთა საძვალეში, მისი დაკრძალვის უფლება დაგვრთო. ამ სიტბოს, სიყვარულს, ზრუნვას, პატრიარქი მოჰფენს ყველგან, სადაც მიდის, ურიგებს მოყვასს თუ გადამთიელს, მოხუცს თუ ახალგაზრდას, ურიგებს ყველას და კვლავ ივსება ამ საოცარი გრძნობით და ნიჭებით.

ზოგი ჩვენ პატრიარქს ადარებს არწივს, ნათელ სვეტს, წყაროს, მართლმადიდებლობის მნათობს...

ჩემი მოკრძალებული თვალთახედვით მინდა შევადარო საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II - ილია ჭავჭავაძეს, ილია მართალს, რომლის ამაგი ქართველი ერისათვის უდიდესი და ფასდაუდებელია.

მადლობას ვწირავ უფალს, რომ XXI საუკუნეში საქართველოს ეკლესიას და მრევლს, რთულ გზაზე ტაძრისაკენ, ღვთისაკენ უძღვება საქრისტიანოს დიდი მნათობი, საქართველოს ავტოკეფალიური ეკლესიის საჭეთმყრობელი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II და შევთხოვ მის ჯანმრთელობას და სიმშვიდეს მრავალსა წელსა.

დედა მარიამი
(ია ბაგრატიონ-მუხრანელი)



თამარ ჯავახიშვილი -

*„ბედნიერი ვარ, რომ ვცხოვრობ ამ დროში, რომელსაც ჰქვია საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქის - ილია მეორის ეპოქა.“*

85 წელი შეუსრულდა თვალსაჩინო ქართველ პოეტს, თამარ ჯავახიშვილს.

საქართველოს მწერალთა კავშირის მისალმებაში აღნიშნულია:

„დიდხანს, ძალიან დიდხანს ქართული მწერლობის კლასიკოსის ჭაბუა ამირეჯიბის ქარსაცავ ზოლს წარმოადგენდით, როგორც მეუღლე და თანამებრძოლი.“

ქალბატონმა თამარმა გაზეთ „კლიტე დავითისის“ რედაქციას მოაწოდა პატრიარქისადმი მიძღვნილი ლექსი და წერილი, რომელშიც წარმოჩენილია უწმინდესისა და უნეტარესის დამოკიდებულება მზეჭაბუკ (ჭაბუა) ამირეჯიბისადმი.

ასევე, მწერლის მილოცვა უწმინდესისადმი მისი აღსაყდრების 35-ე წლისთავზე.

აქვე ვაქვეყნებთ მეორე მილოცვას, რომელიც „კლიტე დავითისის“ რედაქციის არქივიდანაა.

ბატონმა ჭაბუამ 2007 წლის დეკემბერში ჩვენი გაზეთიდან მიულოცა უწმინდესს აღსაყდრების 30-ე და დაბადების 75-ე წლისთავები.

ფიქრი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქზე

გამთენიისას, როს ტანჯულ მიწას
მოეფინება ზეცის ალერსი,
ანთებს კელაპტარს, აღვლენს ლოცვას
უწმინდესი და უნეტარესი;

ბრაზით და შუღლით დამაბულ სულებს
ავედრებს უფალს, შესთხოვს მშვიდობას
და გაგვახსენებს ზეცად წასულებს,
იმათ სიკეთეს და რაინდობას, -

რომ სულ გვახსოვდეს: ვიყოთ ფხიზელნი,
ნუ დავიბნევით ცდუნების კართან,
არ ავყვეთ ბოროტს, - მაცდურს ულმოებელს
და დაგვიფარავს ღვთისმშობლის კალთა.

„კაცნო გიყვარდეთ“ - ცით ჩამოგვძახის
წმინდა მართალი - დიდი ილია
და ჩვენც ვუსმინოთ დღეს ცოცხალ წმინდანს,
ვინც ციურ მადლით შემოსილია.

თამარ ჯავახიშვილი.

23 მაისი, 2022 წელი



ბედნიერი ვარ, რომ ვცხოვრობ ამ დროში, რომელსაც ჰქვია საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის - ილია მეორის ეპოქა. ბედნიერი ვარ იმითაც, რომ წლების წინ უწმინდესმა ჭაბუა ამირეჯიბი დააჯილდოვა წმინდა გიორგის ორდენით, შემდეგ კი ჩვენს ოჯახში მობრძანდა და მოინახულა მწერალი.

ერთი სახალისო ეპიზოდი მახსენდება იმ დროიდან:

ჭაბუას მკერდზე აღბეჭდილი ჰქონდა ჩვენი ერის მფარველის, წმინდა გიორგის სვირინგი. ერთხელაც გვესტუმრა ჟურნალისტი რომელიღაც გაზეთიდან. ზაფხული იყო, ცხელოდა. ჭაბუა მაგიდასთან იჯდა ფართოდ შეხსნილი პერანგით და ასევე დახვდა სტუმარს. რა თქმა უნდა, საინტერესო საუბარი შედგა და გაზეთშიც დაიბეჭდა. ინტერვიუს ერთვოდა ჟურნალისტის მიერ გადაღებული ფოტო - ჭაბუა, მკერდზე დიდი წმინდანის გამოსახულებით. უჩვენებიათ ეს ფოტო უწმინდესისთვის, გაჰკვირვებია ჩვენს სათაყვანებელ უწმინდესს და უთქვამს თურმე: „როგორ გაუძლო...“

უთუოდ გასახსენებელია, რომ გასული საუკუნის 40-იან წლებში ჭაბუა იყო წვერი არალეგალური ანტისაბჭოთა ორგანიზაციისა, რომელსაც ერქვა „თეთრი გიორგი“ და რომელსაც იმდროინდელი ოციოდე წლის გულმხურვალე პატრიოტები შეადგენდნენ ლეგენდარული მუსტაფა შელიას ხელმძღვანელობით. თავგანწირული ახალგაზრდების ძალისხმევა ტრაგიკულად დასრულდა - საბჭოთა ხელისუფლებამ უმკაცრესი სასჯელი დაადო ყოველ მათგანს, მუსტაფა შელია კი მოკლეს, როცა სცადა გაესწრო მკვლელებისთვის. ჭაბუას 25 წელი მიესაჯა, მაგრამ პროკურორმა სასჯელის გამკაცრება - დახვრეტა მოითხოვა. ორთვენახევარი იჯდა დასახვრეტა საკანში და ყოველ დღე ელოდა განაჩენის აღსრულებას. საბედნიეროდ, პროკურორის მოთხოვნა სასამართლომ არ დააკმაყოფილა.

შემდეგ, ჭაბუამ სასწაულებრივ მოახერხა გაქცევა. ჩრდილო კავკასიამდე მიაღწია. შემდეგ სხვაგან გადაინაცვლა. ცხოვრობდა სხვა გვარით. კიდეც მუშაობდა და ოჯახიც შექმნა. დიდხანს არ დასცალდა. მიაგნეს, დაიჭირეს და შორეულ გადასახლებაში გაისტუმრეს. არ ჩერდებოდა - სულ გარბოდა და იჭერდნენ! ყოველი გაქცევის შემდეგ პირველ სასჯელს ვადა ემატებოდა. ბოლოს, როცა ამნისტიით გაათავისუფლეს, 83 წელი ჰქონდა დაგროვილი.

პატიმრობაშიც წერდა, როცა ახერხებდა, მაგრამ ართმევდნენ. 1959 წლის დეკემბერში სამშობლოში დაბრუნდა და აქტიური ლიტერატურული მოღვაწეობა დაიწყო. შეიქმნა რომანები: „დათა თუთაშხია“, „გორა მბორგალი“, „გიორგი ბრწყინვალე“, მოგონებების წიგნები და სხვა. დროდადრო ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემები ჰქონდა. ყურადღებას არ აკლებდნენ მისი ძმადნაფიცი „კატორღელები“, რომელთა წმინდა სახელებს სასოებით ვიხსენებთ ჩვენი ოჯახი, კოლეგები და ახლობლები: დაუვიწყარი ამირან მორჩილაძე (ექიმი), დათიკო კვიტაიშვილი (ექიმი), ალექსანდრე პაპავა (ისტორიკოსი, ფილოლოგი), მირიან აბულაძე (პოეტი, ლიტერატურათმცოდნე), ვახტანგ ჯორჯაძე, ფარნაოზ ზაღდასტანიშვილი, რეზო ტყავაძე, გოგი წულუკიძე, აბრეკ ბათოშვილი. ვშიშობ, ალბათ ვინმე გამომრჩება. ყოველი მათგანი ლეგენდის გმირია. დღესასწაული იყო მათი თავშეყრა სუფრებზე - საუბრები, სადღეგრძელოები. იმ ბედნიერ საღამოებს ამშვენებდა ჭაბუას ბიძაშვილი, დიდებული მომღერალი ცინუკი დადიანი... ჩვენ

- მთელი ოჯახი: შვილები, შვილიშვილები, დები, დისწულები, დეიდაშვილ-მამიდაშვილები - სიამოვნებით ჩამოვთვლიდი ყველას - ისინი ჩვენი საზოგადოებისთვის ცნობილი ადამიანები არიან და იყვნენ! უფალი შეეწიოს ყველას - აქაც და მარადიულ სამყოფელშიც.

ჭაბუა ამირეჯიბის მილოცვები პატრიარქისადმი

**საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის კათოლიკოს-პატრიარქს,
უწმიდესსა და უნეტარეს ილია II-ს,**

**ერისკაცობით XX-XXI-საუკუნეების ქართველთა შორის უდიდესსა
და უბრწყინვალეს მამულიშვილს, ბატონ ირაკლი ღუდუშაურ-
შიოლაშვილს.**

მაპატიეთ, რომ ასე მოგმართავთ, მაგრამ ყველა ქართველი მამულიშვილის აზრით, თქვენ არა მარტო ჩვენი ეკლესიის საჭეთმპყრობელი ბრძენდებით, არამედ ჩვენი ერის, მისი არსებობისა და სულიერების გადასარჩენად უმძიმესი ტვირთისა და პასუხისმგებლობის მზიდველი ადამიანიც.

ეს წერილი დამსახურებული ხოტბის სურვილმა კი არა, აღტაცებამ და სასოებამ დამაწერინა; აღტაცებამ თქვენი მუხლჩაუხრელი მოღვაწეობისა გამო, ხოლო სასოებამ, რომ ქართველი ერის ხსნისთვის თვითმოვლენილი მოღვაწე ხართ, და თუ რამ აგვაშორებს აღგვას პირისაგან მიწისა, ეს თქვენი მხნეობა და თავდადება, სამაგალითო ყოველი ქართველისთვის.

თქვენი ეპისტოლეებიდან და ყოველწუთიერი მოღვაწეობიდან ნათლად ჩანს, რომ ხედავთ ქართველი ერის დაუძინებელ მტერთა ყოვლისდამქანცველსა და მომსპოვლელ ქმედებას, და, ამით შეწუხებული, ცდილობთ, გზა გადაუღობოთ სატანისეულ ძალისხმევას.

თქვენმა შემხედვარემ, შეუძლებელია არ ვირწმუნო, რომ ღმერთი მართლაც „ჩვენთან არს“ და ეს რწმუნება მადლად ქცეული თქვენი წყალობით არის.

გილოცავთ დაბადების 75-ე და აღსაყდრების 30-ე წლისთავებს. ბედნიერი ვარ, რომ თქვენი მადლით აღბეჭდილ დროში ვცხოვრობ და ღმერთს მადლობას ვწირავ, რომ მართლმადიდებელ ქართველ ერს თქვენი სახით მხსნელი მოგვივლინა.

**უღრმესი პატივისცემით
ჭაბუა (მზეჭაბუკ) ამირეჯიბი
დეკემბერი, 2007 წელი**

თქვენო უწმიდესობავ,

სრულიად საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის კათოლიკოს-პატრიარქო, ბრწყინვალე ქართველო მამულიშვილო,

სახელოვანო მოღვაწევ, ბატონო ილია!

მოკრძალებითა და წრფელი გულით გილოცავთ თქვენი თავდადებული სიცოცხლის ორივე თარიღს - აღსაყდრების ოცდათხუთმეტსა და ცხოვრების ოთხმოც წლისთავს. ყველაფერში გამარჯვებას გისურვებთ პირადად თქვენ, ჩვენს ეკლესიასა და ქართველ ერს, რომლის შემდგომი წარმატებული არსებობის ძირითად პირობად ქრისტიანობა და თქვენი უდრეკი მსახურება მიმაჩნია.

თქვენი მონა მორჩილი,
ჭაბუა ამირეჯიბი - ბერი დავითი
თბილისი, 04.01.2013





ექსკურსია ფშავში

ბავშვობიდან გალობისა და ხალხური სიმღერის თაყვანისმცემელ ბატონ ლაშა ზაალიშვილს, 2021-2022 საწავლო წლის მეორე სემესტრიდან, თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის პატრისტიკისა და დოგმატიკის კათედრაზე, გალობის ისტორიის ლექციების კითხვა დაევალა. სასწავლო წლის ბოლოს, ბატონი ლაშა, სტუდენტებთან ერთად ფშავს ეწვია და სასწავლებელში დაბრუნებულმა შთაბეჭდილებებიც გაგვიზიარა.

- საოცრად კარგი სტუდენტები არიან ჩემი მეორეკურსელები, ეკლესიის ერთგულნი, ზრდილობიანი, განათლებული, მორწმუნე ახალგაზრდები, ძალიან შემაყვარეს თავი და სასწავლო წლის დასასრულ, მეც მიხდოდა მადლიერება გამომეხატა მათ მიმართ, ამიტომ ფშავის ერთად მოლოცვა-მონახულება გადავწყვიტეთ, სასულიერო სემინარიის დეკან, მღვდელ გიორგი ვაშალომიძესთან ერთად.

ჩარგალში, გენიალური ქართველი პოეტის ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმს ვეწვიეთ... დავათვალიერეთ მისი პირადი ნივთები. შეუძლებელია არ მოგხიბლოს ფშავის, ჩარგლის

დიდებულმა გარემომ... ადგილმა, სადაც შესანიშნავი ნაწარმოებები შექმნა ვაჟა-ფშაველამ. შთაბეჭდილებებით აღსავსენი მის ეპოქაში დავბრუნდით, ემოციებით დატვირთულნი დავაბიჯებდით ვაჟა-ფშაველას ეზო-ყურეში და საოცარი გრძნობა დაგვეუფლა, რომ ჩვენც ამ დიდი ისტორიის ნაწილი ვართ, რომ გვეამაყება და გვიხარია ჩვენი ქართველობა, ამიტომ იყო ცოტა ხნის შემდეგ „მრავალჟამიერი“ დავაგუგუნეთ...

ჩარგლში მყოფთ შეუძლებელი იყო არ მოგვენახულებინა მიხა ხელაშვილის საფლავი და სულთათანას გალობით პატივი არ მიგვეგო მისთვის...

ნაყოფიერი, ემოციური და ენით გამოუთქმელი დღე იყო...

ვმადლობთ რექტორატს ამ ბევრის მომცემი დღისთვის. მომავალშიაც ლამაზი წლები გველოდება და გვეიმედება, რომ ამგვარი აქტივობა არაერთი იქნება, ეს ყოველივე კი ხელს შეუწყობს ჩვენს სტუდენტებს ცოდნის გაღრმავებაში...

ვისურვებდით, ბევრი იყოს ჩვენს ცხოვრებაში ასეთი საინტერესო დღე.

ესაუბრა სალომე გოგინაშვილი.



დაბრუნება მშობლიურ ფესვებთან

ჩვენს ქვეყანაში მე-20 საუკუნის ბოლოს განვითარებულმა მოვლენებმა განაპირობა ის, რომ ჩემი თაობიდან ბევრი ჩვენი თანამემამულე საქართველოს ფარგლებს გარეთ დაიბადა. მათ შორის ვარ მეც.

დიდი ხნის მანძილზე დამკვიდრებული აზრი და არასწორი პროპაგანდა ევროპაში მიღებული განათლების პრესტიჟულობაზე დღესდღეობით აღარ შეესაბამება სინამდვილეს. კერძოდ, რეალობა დიდად განსხვავდება დღემდე არსებული წარმოდგენისაგან. მე ეს ზედმიწევნით კარგად დავინახე, რამდენადაც პირადად შევესწარი ევროპაში არსებულ განათლების სისტემას. დაბადებულს და გაზრდილს გერმანიაში, ადვილად მომეცა ის შესაძლებლობა, რაზეც დღეს საქართველოში ბევრი ახალგაზრდა ოცნებობს.



სინამდვილეში, ევროპაში, ისე როგორც მთელ მსოფლიოში, ვითარება ქრისტიანებისთვის ტენდენციურად რთულდება, რაც განსაკუთრებით სასწავლო დაწესებულებებში ვლინდება. ახალგაზრდობის სულის დაზიანება პატარა ასაკიდანვე იწყება. გიმნაზიაში გაკვეთილებზე ყოველდღიურად განიხილებოდა თემები, როგორიც არის აბორტი, მამათმავლობა, კანაფის ლეგალიზაცია და მუსლიმთა მასობრივი იმიგრაციის დადებითი მხარეები და ა.შ. ხოლო განსხვავებული აზრი კი სკოლისთვის მიუღებელი იყო.

სკოლის დამთავრების შემდეგ, სწავლა გავაგრძელე ბილფელდის უნივერსიტეტში ფილოსოფიის ფაკულტეტზე, რადგანაც იმედი მქონდა, რომ ფილოსოფიის მოძღვრების მიხედვით, თავისუფალი აზროვნების საშუალება მომეცემოდა, მაგრამ ჩემი მოლოდინი არ გამართლდა, რაც იქ არსებულმა სულიერების დეფიციტმა განაპირობა.

ამიტომ ჩამოვედი საქართველოში და თბილისის სასულიერო აკადემიასა და სემინარიაში სწავლა დავისახე მიზნად, რათა სულიერად დაცემული გარემოსთვის თავი ამერიდებინა. მსურდა, მივსულიყავი ისეთ ადგილას, სადაც გლობალისტური სიმახინჯე ვერ დამთრგუნავდა და სადაც განათლების მიღება და ღვთის არსის გაცნობიერება გვერდიგვერდ არის შესაძლებელი.

ახლა უკვე, პირველი კურსის მიწურულს და აქამდე მიღებული გამოცდილებიდან გამომდინარე შემიძლია ვთქვა, რომ სასულიერო აკადემია და სემინარია უმაღლესი განათლების მიღების საუკეთესო გზას წარმოადგენს. აქ სულიერი გაწონასწორებულობა ყოველ წამს, ყოველი ლექციის დროს იგრძნობა.

ჩვენი სასწავლებელი ახალგაზრდა მანდილოსნებისა და ვაჟკაცების ცნობიერებას მკურნალობს, რათა ორივე საკუთარ თვისებებსა და ვალდებულებებში განვითარდეს. სასწავლებლის ფარგლებში აქამდე არასდროს მინახავს მსგავსი სიყვარული და ურთიერთპატივისცემა. ლექტორები თავმდაბლობისა და ზრდილობის მაგალითს გვაძლევენ და ნებისმიერ საქმეს უდიდესი პასუხისმგებლობით ეკიდებიან.

სტუდენტებისადმი დისციპლინის სწავლება გაერთიანებულია ლექტორებთან ახლო მეგობრულ ურთიერთობასთან, რაც დიდ იშვიათობად მიმაჩნია.

ლექციებზე დრო ასევე დისკუსიას ეთმობა, რაც ნამდვილი თავისუფალი აზროვნების საწინდარია.

ამ სასწავლო წლის ძირითადი ნაწილი ონლაინ რეჟიმში ჩატარდა. სამწუხაროა, რომ ეს მეთოდი სტუდენტს ნამდვილი სწავლისგან დიდწილად აშორებს. ჩემი აზრით, ის უფრო პროგრამის გაცნობას ჰგავს, ვიდრე სრულყოფილ საგანმანათლებლო პროცესს. იმედია, მომავალში ლექციებზე დასწრება გაგრძელდება.

რაც სასულიერო აკადემიასა და სემინარიაში სწავლა დავიწყე, პირველად ცხოვრებაში მაქვს განცდა, რომ პედაგოგებს ჭეშმარიტად აქვთ იმისი სურვილი, მოსწავლეებს ცოდნა შესძინონ.



ვერ აღწერ იმ ბედნიერებას, რომელიც განვიცადე მისაღები გამოცდების ჩაბარების შემდეგ და ის განცდა დღემდე მომყვება. აქ სწავლა ჩემთვის არის იდენტობა, რომელსაც გულწრფელი პასუხისმგებლობა ესაჭიროება, რისი შეუსრულებლობაც, ჩემი აზრით, ღმერთის, ქვეყნისა და ოჯახის წინაშე დანაშაულის ტოლფასია.

მე მადლობელი ვარ ჩვენი პატრიარქის, ჩვენი რექტორატისა და თითოეული ლექტორის, რომლებიც ახალგაზრდების სულიერი გადარჩენისთვის ასე დაუღალავად იღვწიან და ასეთ თბილ გარემოს გვიქმნიან. მადლობელი ვარ ყველა იმ ლექტორის, რომელიც ჩემს ენობრივ სისუსტეს ითვალისწინებს და მოთმინებით ეკიდება.

განსაკუთრებული პატივისცემით მინდა ახალი ქართული ენის პედაგოგი, ქალბატონი დოდო ღლონტი ვახსენო, რომლის უდიდესი სიყვარული საკუთარი საგნისა და საქმის მიმართ ყოველ ლექციაზე იგრძნობა და რომელიც დიდი ყურადღებით და სითბოთი გვიდგას გვერდით მშობლიური ენის ჯეროვნად შესწავლაში. დაბოლოს, გულწრფელად მინდა ჩვენს ყველა პროფესორ-მასწავლებელს გამძლეობა და მხნეობა ვუსურვო!

ჟასმინ (გვანცა) ლომიძე,
ქრისტიანული ფსიქოლოგიის სპეციალობის
პირველი კურსის სტუდენტი